პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 8 (11314) | შაბათი, 10 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩ ხ ე ი ძ ი ს მოხსენება საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი გ. დ. ჯავახიშვილი.

ფოტო ვ. გაბუნიასი, მ. კვარაცხელიასი და ვ. ვახტანგაძისა.

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოსი

ყველა მუშას, კოლმეურნეს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს!

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

15 იანვარს იწყება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო დიდ პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ მოსახლეობის მომავალ აღწერას.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის აშენებაში და გრანდიოზული გარდაქმნები განახორციელა ჩვენს ქვეყანაში. ახლა ჩვენი დიადი სამშობლო შემოქმედებითი ძალღონით არის აღსავსე და მტკიცე ნაბიჯით, რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. საბჭოთა კავშირის მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ვითარებაში ეგებებიან თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის ისტორიულ XXI ყრილობას, რომელიც განიხილავს სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს, რომლებიც სახავენ სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის დიად პერსპექტივებს. შვიდწლიანი გეგმის შესრულება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მოსახლეობის აღწერა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს შვიდწლიანი გეგმით დასახული გიგანტური ამოცანების განხორციელებაში. აღწერის მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ ხალხის ცხოვრებისა და საბჭოთა ადამიანის კულტურული სახის ღრმა ცვლილებებს, ასახავენ სოციალისტური წყობილების დიად მიღწევებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ეროვნული რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის ზრდაში, საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების განვითარებაში. აღწერის შედეგად მივიღებთ ზუსტ ცნობებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვის, მისი განლაგებისა და მოსაქმეობის შესახებ, სქესის, ასაკის, ეროვნებისა და განათლების მიხედვით მოსახლეობის შედგენილობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს დროზე გაიარონ აღწერა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის ორგანიზებულად მოწყობას, რათა არც ერთი დასახლებული პუნქტი, არც ერთი საცხოვრებელი სახლი, არც ერთი ადამიანი არ იქნას გამოტოვებული აღწერის დროს.

ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციისა და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა უზრუნველყონ ყოველნაირი დახმარება აღწერის მუშაკებისადმი ამ საყოველთაო-სახალხო საქმის სანიმუშოდ განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

### საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი და საბრძოლო საქმე

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესრულებაში „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომკავშირელთა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში ახლა კომკავშირული ორგანიზაციების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და საბრძოლო საქმეა.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა მებრძოლურად მოჰკიდონ ხელი ყველა მარცვლეული კულტურის მოსავლიანობის გადიდებას, სწორ თესლბრუნვათა ათვისებას, მოაწყონ შეფობა მეთესლეობაზე, ფართოდ გააჩაღონ სასუქის დამზადება და მინდვრად გატანა.

ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, რუსეთის სფსრ არაშავმიწიანი ზონის ოლქების კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს სასუქის დამზადება და მინდვრად გატანა. უზბეკეთის, სომხეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან შეექმნან ბამბის მოყვანისა და მისი მოსავლის აღების ახალგაზრდათა ბრიგადები და კომპლექსური მექანიზაციის აგრეგატები, საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე შეასწავლონ ახალგაზრდობას მანქანებით მუშაობა. რუსეთის სფსრ ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთის ზონის რაიონების, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ციმბირის, სამხრეთ ურალის, ჩრდილოეთ ყაზახეთის, შორეული აღმოსავლეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მცურავი ფრინვლის მოშენებაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

### საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა გაიხსნება 12 იანვარს დილის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 2).

ტელეფონები: 3-62-20, 3-90-24, 3-60-24, 5-02-85.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობის ფლაგშტოკზე ფრიალებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა. გუშინ, 9 იანვარს ერთ საათზე საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

სესია შეიკრიბა საყოველთაო სახალხო აღმავლობის ღირსშესანიშნავ დღეებში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადებით. საქართველოს მშრომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღფრთოვანებულნი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამით, რომელიც ჩამოყალიბებულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებში, გამოთქვამენ მტკიცე მისწრაფებას ენერგიულად იბრძოლონ შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ახალი წარმატებებისათვის რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

სესიაზე ჩამოვიდნენ დეპუტატები — ხალხის რჩეულები საქართველოს ყველა კუთხიდან. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში შეიკრიბნენ მუშები, სპეციალისტები, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატორები, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ესწრება ბევრი სტუმარი.

დილის 11 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა. თავმჯდომარის ადგილი დაიკავა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ, მისი მოადგილეები ლ. კ. ნაზაძე, შ. დ. კობახიძე.

ლოჟებში არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე.

უმაღლესი საბჭო იღებს სესიის შემდეგ დღის წესრიგს:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმა.
2. საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

პირველი ორი საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მესამე კი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სიტყვა მოხსენებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილს.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 1959 წლის გეგმაში გათვალისწინებული დავალებანი გამომდინარეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებიდან და ასახავენ რესპუბლიკის საარსებო მოთხოვნებს ეკონომიური და კულტურული განვითარების დარგში.

გ. დ. ჯავახიშვილი ახასიათებს 1958 წლის გეგმის შესრულების წინასწარ შედეგებს. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა რესპუბლიკის საწარმოებმა შეასრულეს 105,2 პროცენტით. მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1958 წელს გადიდდა 11,5 პროცენტით 1957 წელთან შედარებით და გამოშვებულია 1.7 მილიარდი მანეთისაზე მეტი პროდუქცია.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიღებულია ჩაის, ყურძნისა და ხილის რეკორდული მოსავალი. გადაჭარბებით შესრულებულია სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა.

გასულ წელს მიღწეულია მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მოსახლეობას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მეშვეობით მიეყიდა 759 მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი. 1958 წელს მარტო საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 65 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს და საექსპლოატაციოდ გადაეცა 244 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 53 ათასი კვადრატული მეტრით მეტი. ვიდრე 1957 წელს.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს საქართველოს სსრ 1959 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ძირითად ამოცანებზე. მრეწველობის პროდუქციის საერთო გამოშვება რესპუბლიკაში 1958 წელთან შედარებით დასახულია გადიდდეს 6 პროცენტით, ამასთან მრეწველობის იმ დარგების პროდუქცია რომლებიც წარმოების საშუალებებს ამზადებენ, 9,2 პროცენტით გადიდდება.

ლაპარაკობს რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 1959 წელს დაგეგმილია მოიკრიფოს ჩაის ფოთოლი 133 ათას ტონაზე მეტი. გადიდდება ციტრუსების, ყურძნის და ხილის წარმოება. მნიშვნელოვნად გაიზრდება მესაქონლეობის პროდუქტების წარმოება. გათვალისწინებულია თამბაქოს, შაქრის ჭარხლის და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების ზრდა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა მიაღწევს 2051 მილიონ მანეთს.

სახელმწიფო გეგმა უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 350 მილიონი მანეთი. 1959 წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 801 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა მოხსენება საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა **ბ. ა. ჩხეიძემ.**

1959 წელს — შვიდწლედის პირველ წელს—საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ნაწილებში განსაზღვრულია 5.768.340 ათასი მანეთით, რაც 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი მონაცემებით მის მოცულობას აღემატება 7,5 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად გამოყოფილია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების 43,9 პროცენტი, ხოლო სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად — 50,3 პროცენტი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ა. ვ. ჭირაქაძემ.**

უმაღლესი საბჭო იწყებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატმა **ა. ე. მელაძემ** (ზოდის საარჩევნო ოლქი, ჭიათურის რაიონი), დეპუტატმა **ლ. კ. ნაზაძემ** (კალინინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი სოხუმი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. დ. თხილაიშვილმა**, დეპუტატმა **დ. ვ. გელაშვილმა** (ავჭალის საარჩევნო ოლქი, სამგორის რაიონი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ს. გ. თიბილოვმა.**

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა.

* * *

9 იანვარს, საღამოს 5 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა. გრძელდებოდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ს. ბ. დოლიძე** (ლესის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), დეპუტატი **ს. ნ. ფერაძე** (ზესტაფონის ლენინის საარჩევნო ოლქი, ზესტაფონის რაიონი), დეპუტატი **ვ. თ. სუხიშვილი** (სტალინის საარჩევნო ოლქი. ქ. თბილისი), დეპუტატი **გ. ვ. ბლიაძე** (დვირის საარჩევნო ოლქი, ბორჯომის რაიონი), დეპუტატი **ს. ფ. ჭკადუა** (მესტიის საარჩევნო ოლქი. მესტიის რაიონი), დეპუტატი **ს. გ. გელენიძე** (რუსთაველის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), დეპუტატი **ა. ს. ბექაური** (ბაზალეთის საარჩევნო ოლქი, დუშეთის რაიონი). დეპუტატი **ვ. ი. პაპიაშვილი** (კასპის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), დეპუტატი **დ. ი. ბერეჟიანი** (ფიოლეტოვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), დეპუტატი **ნ. გ. გომელაური** (საქარხნო საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), დეპუტატი **პ. ს. აბესაძე** (სვერის საარჩევნო ოლქი, ჭიათურის რაიონი), დეპუტატი **ს. დ. რამაზაშვილი** (ალვანის საარჩევნო ოლქი, ახმეტის რაიონი), დეპუტატი **ნ. ა. ღლონტი** (ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე **ზ. ს. ჯაფარიძე**, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ი. დ. ვიშნიაკოვი.**

კამათის ყველა მონაწილე გამოთქვამდა ერთსულოვან აზრს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამებიან ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების ამოცანებს, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდას.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია განაგრძობს მუშაობას. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემოაქვს თქვენს განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-65 წლების საკონტროლო ციფრებიდან და ასახავს რესპუბლიკის საარსებო მოთხოვნილებებს ეკონომიური და კულტურული განვითარების დარგში.

1959 წლის გეგმის განხილვასა და დამტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი პირველი წელია შვიდწლედისა, რომლითაც იწყება ახალი პერიოდი ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში — პერიოდი კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობისა.

ამ პერიოდის მთავარ ამოცანას, როგორც ეს ნათქვამია ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა ხალხების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილება.

შვიდწლედის გეგმით უდიდესი პერსპექტივები ისახება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში ბუნებრივი რესურსების გამოყენების, კაპიტალურ სამუშაოთა ფართო მასშტაბით განხორციელებისა და საწარმოო ძალთა განლაგების გაუმჯობესების ბაზაზე უზრუნველყოფილი იქნება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების მძლავრი ზრდა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1959-1965 წლებში შეადგენს 16,8 მილიარდ მანეთს, ანუ 5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე ეს წინა შვიდწლედში იყო. ამასთან მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წლისათვის თითქმის 75 პროცენტით გაიზრდება.

საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს და ახალი წარმატებებით ხვდებიან საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენი ქვეყნის განვითარების შვიდწლიან გეგმას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პროგრამას.

ამხანაგო დეპუტატებო!

ვიდრე სახალხო მეურნეობის 1959 წლის გეგმის ძირითადი დავალებების დახასიათებაზე გადავიდოდე, ნება მომეცით მოკლედ შევჩერდე 1958 წლის გეგმის შესრულების შედეგებზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები მოწმობენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებასა და მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებას. 1958 წელს რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ და სხვ.

ამ ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეუმჯობესებინა ხელმძღვანელობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის საწარმოებისადმი, მშენებლობებისადმი, უფრო აქტიური გაგვეხადა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა წარმოების მართვა-გამგეობის საქმეში. აგრეთვე გაგვეძლიერებინა მათი ინიციატივა და მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენს მრეწველობას არცერთ წელს არ უმუშავნია ისე წარმატებით, როგორც 1958 წელს. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1958 წლის გეგმა რესპუბლიკის საწარმოებმა 105,2 პროცენტით შეასრულეს. 1958 წელს საერთო პროდუქციის მოცულობა 1957 წელთან შედარებით 11,5 პროცენტით გადიდდა და გამოშვებულია 1,7 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებს, რომლებმაც საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,5 პროცენტით შეასრულეს და 1957 წლის წარმოების დონეს 10,7 პროცენტით გადააჭარბეს. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 103,3 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც.

1958 წელს, 1957 წელთან შედარებით, გაიზარდა თუჯის, ფოლადის, მინერალური სასუქების, ელექტროენერგიის წარმოება, მარგანეცის მადნის მოპოვება და მანქანათმშენებლობისა და ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

1958 წელი დამახასიათებელი იყო იმით, რომ გარდა წარმოების საერთო ოდენობის მნიშვნელოვანი ზრდისა არსებულ საწარმოთა ბაზაზე, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს ახალი სახის პროდუქცია და დანერგეს მათი მასობრივი გამოშვება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელმა ქარხნებმა 1958 წელს აითვისეს და მოაწყეს ისეთი რთული მანქანების მასობრივი წარმოება, როგორიც არის მაგისტრალური ელექტრომავლები, ჩქაროსნული ლითონსაჭრელი ჩარხები, მაღალი სიზუსტის სახეხი ჩარხები, ფიზიკური გამოკვლევებისათვის საჭირო ხელსაწყოები და სხვ.

ამ მხრივ გასული წელი იყო რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის ახალი დარგების — ელექტრო-ტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის შექმნის დაწყების წელი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 27 დარგობრივი სამმართველოდან და ტრესტიდან საწარმოო გეგმა ვერ შეასრულეს მხოლოდ საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა და საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტმა. საერთო პროდუქციის გამოშვებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია მანქანათმშენებლობის მრეწველობამ, რომელმაც გასულ წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 20,7 პროცენტით გაზარდა.

საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომარაგება ელექტროენერგიით. 1958 წელს ჩვენმა რაიონულმა ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 18 პროცენტით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1957 წელს. სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი ნამატი მოგვცა 1958 წელს გუმათჰეს-1-ის ექსპლოატაციის დაწყებამ და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრის ათვისებამ.

საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის მაღალმა ტემპებმა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მყარი ბაზა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. გადაჭარბებით შესრულებულია სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გეგმები. 1958 წელს გეგმის ზევით გამოშვებულია შალის ქსოვილები — 134 ათასი მეტრი, ბამბის ქსოვილები — 1.700 ათასი მეტრი, აბრეშუმის ქსოვილები — 1.150 ათასი მეტრი, ტყავის ფეხსაცმელი — 470 ათასი წყვილი, პურ-ფუნთუშეული — 1,2 ათასი ტონა, ღვინო — 42 ათასი დეკალიტრი, ჩაი (პირველადი დამუშავების) — 2,5 ათასი ტონა, კონსერვები — 2,0 მილიონი პირობითი ქილა, მოუხდელი რძის ნაწარმი — 3,7 ათასი ტონა და მრავალი სხვა.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს გასული წელი ადგილობრივი საბჭოებისა და სარეწაო საბჭოს საწარმოებმა, რომლებმაც გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 340 მილიონი მანეთის პროდუქცია.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მრეწველობამ გეგმა 2,7 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა, აჭარის ასს რესპუბლიკამ — 4,9, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა 3,1 პროცენტის გადაჭარბებით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს გასულ წელს მრეწველობაში სამრეწველო სიმძლავრეთა ზრდისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა ითხვისის მაღაროს 500 ათასი ტონა მარგანეცის მადნის სიმძლავრის მეორე რიგი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროლიზური საამქრო, გუმათის 44 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ათასობით კილოვატის სიმძლავრის თბოელექტროსადგური, 12,5 ათასი ტონა საკონდიტრო ნაწარმის სიმძლავრის საკონდიტრო ფაბრიკა, ერთდროულად 1.100 ტონის შესანახავი მაცივრები, 500 ათასი დეკალიტრი ღვინის საცავები, 9.600 ტონის მარცვალსაწყობები და მრავალი სხვა საწარმო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკაში გაშლილია მნიშვნელოვანი სამუშაოები ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის საწარმოო ბაზის შესაქმნელად. წინასწარი ცნობებით, 1958 წელს ქიმიურ მრეწველობაში დაბანდებული იყო 37,5 მილიონი მანეთი.

1957 წელთან შედარებით კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა რესპუბლიკაში 1958 წელს გაიზარდა 184,1 მილიონი მანეთით ანუ 10,1 პროცენტით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა 117,5 მილიონი მანეთით ანუ 8,9 პროცენტით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი მონაცემებით რესპუბლიკაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა გასულ წელს შესრულდა მხოლოდ 96,2 პროცენტით, ხოლო საბინაო მშენებლობისა 100,4 პროცენტით.

1958 წელს მარტო საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 65 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და საექსპლოატაციოდ გადაეცა 244 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი ანუ 53 ათასი კვ. მეტრით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელი ფართობის ექსპლოატაციაში გადაცემის სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკაში შესრულდა მხოლოდ 87,4 პროცენტით.

1958 წელს ქ. თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცა სულ 102 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მათ შორის თბილისის ქალაქის საბჭომ საექსპლოატაციოდ გადასცა 24 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23,5 ათასი კვ. მეტრისა. მაგრამ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის სახელმწიფო გეგმა მთლიანად ქალაქ თბილისში, სხვა უწყებების ჩათვლით, შესრულდა მხოლოდ 92,5 პროცენტით.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ათვისება ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიხედვით გასულ წელს სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. თერთმეტი თვის განმავლობაში წლიური გეგმა შესრულებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 86,3 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 72,7, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მხოლოდ 57,9 პროცენტით.

მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში გარკვეული გაუმჯობესება გვაქვს უკანასკნელი წლების მანძილზე. მაგალითად, 1958 წელს რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოების მოცულობა 1955 წელთან შედარებით გაიზარდა სამჯერ, ხოლო 1957 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა სამშენებლო ორგანიზაციების აღჭურვილობა მექანიზმებით.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიღებულია ჩაის, ყურძნის და ხილის სარეკორდო მოსავალი. გადაჭარბებით არის შესრულებული მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში.

ეს გვავალებს კიდევ უფრო დაძაბული შრომით და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემდგომი მკვეთრი ზრდით ვუპასუხოთ ამ მაღალ შეფასებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც გუშინ დაამთავრა მუშაობა, განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები, დასახა ღონისძიებანი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და განსაკუთრებით მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სოფლისა და ქალაქის ყველა მშრომელი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ეს საბრძოლო პროგრამა განუხრელად იქნას გატარებული ცხოვრებაში.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა, მოსახლეობის მყიდველობითი უნარის შემდგომმა ზრდამ გამოიწვია საქონელბრუნვის გადიდება.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1958 წელს რესპუბლიკაში შესრულებულია 102,7 პროცენტით, ე. ი. 270 მილიონი მანეთის გადამეტებით.

საქონელბრუნვის მოცულობა 1957 წელთან შედარებით 7,6 პროცენტით გადიდდა.

გასულ წელს 1957 წელთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით 759 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი. აქედან მარტო სამრეწველო საქონელი 400 მილიონ მანეთს აღემატება.

განსაკუთრებით გაიზარდა სამრეწველო საქონლის მიყიდვა სოფლის მოსახლეობისათვის.

მოსახლეობამ გადამეტებით მიიღო 1957 წელთან შედარებით 4.500 ტონა ხორცი და ხორცის ნაწარმი, 12.000 ტონა რძე და რძის ნაწარმი (რძეზე გადაყვანით), 4,5 მილიონი ცალი კვერცხი, 4.100 ტონა შაქარი და მრავალი სხვა სასურსათო საქონელი.

1958 წელს გრძელდებოდა რესპუბლიკის კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარება.

გადიდდა სკოლების, საბავშვო ბაღების, საკლუბო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კინოდანადგარების, საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაგების ქსელი.

გასული წელი აღინიშნა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი შემოქმედებითი აქტივობით. გამოცემულია ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის სწავლულთა შრომები.

შექმნილია სათანადო მატერიალური ბაზა იმისათვის, რომ გაიშალოს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ატომური ენერგიის გამოსაყენებლად მშვიდობიანი მიზნებისათვის. მიმდინარე წელს ამუშავდება ატომური რეაქტორი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ფართოდ განვითარდეს მეცნიერული მუშაობა ამ დარგში.

დიდ მუშაობას აწარმოებენ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები მრეწველობის ცალკეული დარგების საწარმოო პროცესებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ხელსაწყოების დამუშავებისათვის. აღნიშნულ ინსტიტუტებში სამეცნიერო მუშაობას ეწევა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი, რომელთა მიერ შექმნილმა უახლესმა მანქანებმა და ხელსაწყოებმა მაღალი შეფასება მიიღეს.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოებისა და ტრესტების, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებით ნაკლოვანებებს.

განვლილ პერიოდში საწარმოთა გეგმის შესრულება არათანაბრად მიმდინარეობდა. მაშინ როდესაც სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში მრეწველობის საერთო პროდუქციის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, 94 საწარმოს, ანუ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოების საერთო რიცხვის 21 პროცენტს, დაწესებული გეგმა არ შეუსრულებია, რის გამო სახალხო მეურნეობას რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლდა.

ადგილი ჰქონდა გეგმით დაწესებული ასორტიმენტისა და ხარისხის დარღვევას, მიწოდებათა გეგმის თავის დროზე შეუსრულებლობას და პროდუქციის გამოშვების გრაფიკის ჩაშლას.

იყო თუ არა რაიმე განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ხელს უშლიდნენ აღნიშნულ საწარმოებს გეგმით დაწესებულ დავალებათა შესრულებაში? შეიძლება ითქვას, რომ არავითარი განსაკუთრებული ხელშემშლელი პირობები მათ არ ჰქონიათ. ცალკეული ნაკლოვანებანი მხოლოდ იმის შედეგია, რომ ამ საწარმოებს სუსტად ხელმძღვანელობდნენ მათი დირექტორები, ხოლო სახალხო მეურნეობის, საბჭოს სათანადო დარგობრივი სამმართველოები არასაკმაო დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდნენ მათ.

საწარმოთა ნორმალური მუშაობისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაწესებულ ვადებში უზრუნველყოფა ნედლეულითა და მასალებით, მათი მომარაგება ნაკეთობებითა და დეტალებით კოოპერირებული მიწოდების წესით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი საწარმოების სამმართველოებისა და ტრესტების ყველა ხელმძღვანელი როდი ექცევა სათანადო ყურადღებით სამეურნეო საქმიანობის ეკონომიურ მაჩვენებლებსა და შედეგებს.

ერთი მუშის შრომის ნაყოფიერების 1958 წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ, წინასწარი ცნობებით, 103,3 პროცენტით შეასრულა, ამასთან შრომის ნაყოფიერების გეგმით დაწესებული დავალებანი მთლიანად არ შეუსრულებია სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების 20 პროცენტზე მეტს. მთელ რიგ საწარმოებში მანქანებისა და მოწყობილობის არადამაკმაყოფილებლად გამოყენების, შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის არასაკმაოდ დანერგვის შედეგად ადგილი აქვს მუშახელის ზეგეგმითი რაოდენობას და ხელფასის ფონდის გადახარჯვას. ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, სადაც მუშათა ზეგეგმითი რაოდენობა 300 კაცს აღემატება, დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა 5 მილიონი მანეთის რაოდენობით; ამავე მიზეზით ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა ერთ მილიონ მანეთზე მეტი გადახარჯა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების გადიდება და იმის უზრუნველყოფა, რომ შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობა არსებობდეს.

ამჟამად, უფრო, ვიდრე ოდესმე, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მრეწველობის მუშაობაში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებისა და მისი სისტემატური შემცირების საკითხი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბევრ საწარმოში დავიწყებას მისცეს მომჭირნეობის რეჟიმი და არათუ ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის, ხელფასის მომჭირნეობას არ ეწევიან, არამედ მათი გადახარჯვაც აქვთ დიდი ოდენობით.

ბევრმა ჩვენმა საწარმომ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი წუნდებული პროდუქციის გამოშვებას.

1958 წლის 9 თვის განმავლობაში სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში საერთო დანაკარგი წუნისაგან 33 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მათდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, იმის უზრუნველყოფა, რომ თვითეულმა საწარმომ დაწესებული ასორტიმენტით შეასრულოს სამრეწველო წარმოების გეგმები, პროდუქციის თვითღირებულებისა და რეალიზაციის, სახსრების დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა დავალებანი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა მშენებლობის დარგში, ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებას.

ამ მხრივ 1958 წელს ყველაფერი რიგზე როდი იყო. არ შესრულებულა ახალციხის 200 ათასი ტონა ქვანახშირის წლიური სიმძლავრის შახტის ამუშავების გეგმა, საექსპლოატაციოდ არ არის გადაცემული შაორის 20 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, ფოთი-მენჯის ელექტროგადამცემი ხაზი და სხვ. ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციებმა თუმცა 1957 წელთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ერთგვარ შემცირებას მიაღწიეს, მაგრამ მშენებლობის თვითღირებულება ჯერ კიდევ მაღალია. 1958 წლის 9 თვის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემული ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საშუალო ღირებულება შეადგენს 1.800 მანეთზე მეტს ნაცვლად 1.450 მანეთისა, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული.

კაპიტალურ მშენებლობაზე სახსრების დაქსაქსვის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება 1958 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში შეადგენდა 2,5 მილიარდ მანეთს, რაც 30 პროცენტით აღემატებოდა კაპიტალდაბანდებათა 1958 წლის მოცულობას. წინასწარი მონაცემებით 1958 წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთები არათუ არ შემცირებულა, არამედ კიდევაც გადიდდა 600 მილიონ მანეთზე მეტით.

რას მეტყველებს ყოველივე ეს?

ეს იმას მოწმობს, რომ ორგანიზაციათა და მშენებლობათა ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთების შემცირების საკითხს. მთელ რიგ შემთხვევებში უმნიშვნელო მოუთავებელი სამუშაოების გამო ჭიანურდება ძირითადი ფონდების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ერთი-ორი წლის განმავლობაში დასამთავრებელი ობიექტების მშენებლობა 5-6 წელიწადს და მეტ ხანს ჭიანურდება. აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის მშენებლობა 6 წელზე მეტია გრძელდება, მაშინ როცა რესპუბლიკა საკედლე მასალების დიდ ნაკლებობას განიცდის; თბილისში ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მშენებლობა, რომლის ღირებულება დაახლოებით 10 მილიონ მანეთს შეადგენს, უკვე ოთხ წელზე მეტია მიმდინარეობს.

თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა მისი მშენებლობა, მის დამთავრებას დასჭირდება არანაკლებ 4-5 წელი.

სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. სამშენებლო სამუშაოები მოწესრიგებული არ არის. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას მშენებლობის კულტურა. სამშენებლო უბნებზე წინასწარ არ კეთდება გზები და მისასვლელები.

დაბალია შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი. განსაკუთრებით მოსაპირკეთებელი სამუშაოები — შელესილობა, იატაკები, სადურგლო და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები.

ჩვენი არქიტექტორების სასაყვედუროდ უნდა ითქვას, რომ ისინი ვერ ითვალისწინებენ პროექტებში ყველაფერს, რაც კი უზრუნველყოფს მშრომელებისათვის საჭირო კომფორტს. ჩაშენებული ავეჯი, სამზარეულოს მოწყობილობა, ელექტროწერტილების განაწილება, გასათბობი რადიატორების განლაგება — ეს თითქოს უმნიშვნელო წვრილმანები მათი ყურადღების გარეშე რჩება და ამით ახალ აშენებულ ბინებში საჭირო მოხერხებულობა არ იქმნება.

ამხანაგო დეპუტატებო! საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის წარმატებითი ბრძოლა წარმოუდგენელია, თუ სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული აღრიცხვა და სტატისტიკა, თუ გულმოდგინე მეთვალყურეობა არ ეწევა ეკონომიური პროცესების მსვლელობას.

საკავშირო მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულია საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობა საანგარიშო მონაცემების დროზე წარდგენისა და სისწორისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საწარმოს, მშენებლობისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ უხეშად არღვევენ საანგარიშო მონაცემების წარდგენის ვადებს და უხარისხო მონაცემებს უდგენენ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს. საჭიროა ამ მუშაკებმა გაითვალისწინონ ყოველივე ეს და მიიღონ ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების ამოცანა ის არის, რომ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან წარმოების ორგანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის ხაზით არსებული ნაკლოვანებანი და შექმნან საჭირო წანამძღვარები 1959 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი ამოცანები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმა მომზადებულია შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების უშუალო მონაწილეობით. 1959 წლის გეგმას, ისევე როგორც გასული წლის გეგმებს, ყველაზე მეტად ახასიათებს მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება და ამ საფუძველზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია:

— რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბაზის შემდგომი გაფართოება, ქალაქ თბილისის და რუსთავის სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების გაზიფიკაციის დაწყება;

— შავი და ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარება, ფეროშენადნობთა წარმოების გადიდება;

— ქიმიური მრეწველობის შემდგომი ზრდა მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და ინტენსიფიკაციის გზით;

— ახალი მანქანათსამშენებლო ქარხნების მოწყობა, ახალი სახის მანქანებისა და მოწყობილობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის ახალი სახის ნაკეთობათა ათვისება და უფრო სრულყოფილი მოწყობილობის დანერგვა;

— კვების მრეწველობის, განსაკუთრებით ჩაის მრეწველობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარება;

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების აღმავლობა, პირველ რიგში ჩაის პლანტაციების, ციტრუსოვანი ნარგავების, მევენახეობისა და მეხილეობის გაფართოება, აგრეთვე პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარება;

— ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მისი ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, საქონელბრუნვის შემდგომი გაშლა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის;

— საბინაო მშენებლობის გაფართოება, კულტურის განვითარება და ჯანმრთელობის დაცვის ქსელის ზრდა; ცხოვრებასთან სკოლის კავშირის გაუმჯობესების და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელება;

— შრომის ნაყოფიერების ამაღლება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე.

ამ ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ყოველმხრივ გამოვავლინოთ და უფრო სრულად გამოვიყენოთ შინაგანი რეზერვები და წარვმართოთ მშრომელთა ღონისძიებანი რესპუბლიკის საწარმოო ძალების ახალი მძლავრი აღმავლობისაკენ.

### მრეწველობა

1959 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის გადიდებას 1958 წელთან შედარებით 6 პროცენტით, ამასთან წარმოების საშუალებათა დამამზადებელი დარგების პროდუქცია 9,2 პროცენტით გაიზრდება.

მძიმე მრეწველობის დარგებიდან პროდუქციის ყველაზე მეტი ზრდა გათვალისწინებულია ელექტროენერგეტიკაში — 9,4 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 8,3 პროცენტით, მანქანათმშენებლობასა და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 32,7 პროცენტით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(დასასრული)

1959 წელს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 3.300 მილიონ კილოვატ-საათს, რაც 360 მილიონი კილოვატ-საათით აღემატება 1958 წლის დონეს. ეს ზრდა მიღებული იქნება გუმათის ჰიდროსადგურების სრული სიმძლავრით მუშაობის, თბილისისა და რუსთავის თბოელექტროცენტრალების გაფართოების, აგრეთვე ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრის უკეთ გამოყენების გზით. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მზარდი მოთხოვნილების დასაფარავად გათვალისწინებულია ელექტროენერგიის მიღება სხვა ენერგოსისტემებიდან 440 მილიონი კილოვატ-საათის რაოდენობით, ძირითადად ამ ცოტა ხნის წინათ ამუშავებული მინგეჩაურჰეს-თბილისის ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით.

ამასთან დაკავშირებით აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამ ხაზის მშენებლები, რომლებმაც უმოკლეს ვადაში, ფაქტიურად 10 თვის განმავლობაში, გაიყვანეს 240 კილომეტრ მანძილზე 220 ათასი ვოლტის ძაბვის გადამცემი ხაზი. ეს სერიოზული მიღწევაა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პრაქტიკაშიც.

ამ ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომარაგება ელექტროენერგიით.

ქიმიური მრეწველობის ხაზით რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში ამუშავდება ახალი საწარმოო სიმძლავრენი, რაც ათასობით ტონით გაზრდის მინერალური სასუქების გამოშვებას.

შავი მეტალურგიის საერთო პროდუქცია 3,8 პროცენტით გაიზრდება. ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ნაგლინის წარმოება 9 პროცენტით გადიდდება მოქმედი მოწყობილობის უკეთ გამოყენების გზით; ამასთან სხვადასხვა დიამეტრის ფოლადის მილების წარმოება გაიზრდება 8 პროცენტით.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა განმტკიცდეს ქარხანაში შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინა, შემცირდეს მოწყობილობის გაცდენა, უზრუნველყოფილ იქნას მარტენის ღუმელებში დნობის ხანგრძლივობის შემცირება და მარტენის ღუმელების ერთ კვადრატულ მეტრ ქვედზე ფოლადის მიღების გადიდება.

იმის გამო, რომ მეტალურგია დიდ მოთხოვნილებას აყენებს, უმაღლესი ხარისხის მადანზე, საჭიროა მარგანეცის მრეწველობაში პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ ამაღლება, რისთვისაც უკეთ უნდა მოეწყოს ჭიათურის მარგანეცის მადნის გამდიდრება, დაინერგოს ახალი სახის მოწყობილობა. ჭიათურის მარგანეცისა და ჭიათურმშენის ტრესტების წინაშე უდიდესი ამოცანებია დასახული, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1959 წელს უნდა დამთავრდეს ორი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობა.

დიდი მოსამზადებელი სამუშაოებია გათვალისწინებული 1959 წელს ყარადაღის გაზის მიღებისათვის მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. რესპუბლიკაში გაზის მრეწველობის და გაზმომარაგების შემდგომი განვითარების სამუშაოებისადმი ყოველდღიური ოპერატიული და ტექნიკური ხელმძღვანელობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან იქმნება გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია 1959 წელს 32,7 პროცენტით გადიდდება. მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქციის ეს ზრდა, რაც განხორციელდება ჩვენი მრეწველობის მიერ ახალი სახის ნაკეთობათა ათვისების გზით, ყველაზე დიდი ზრდაა მთელი გასული წლების მანძილზე. 1959 წელს გამოშვებული იქნება ათობით სამაგისტრალო ელექტრომავალი, 650 ცალი ელექტროშემდუღებელი მოწყობილობა, 1.010 ცალი ვიბრაციული მანქანა და 2.500 ელექტროსამანქანო გამაძლიერებელი.

1959 წელს რესპუბლიკის ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოები, რომლებიც გასულ წელს მოეწყო ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, გორში, ფოთში, ზესტაფონში და სხვ., აითვისებენ მთელი რიგი ახალი მანქანებისა და მასალების წარმოებას, როგორიც არის ელექტროშემდუღებელი ავტომატები, კოშკური ამწეების ელექტროძრავები, მიკროძრავები, ელექტროკარები, ჩასაშვები ტუმბოები და ელექტრობურღები, ელექტროსარეცხი მანქანები და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახალხო მეურნეობის საბჭომ დიდი შრომა უნდა გასწიონ ჩვენი მანქანათსამშენებლო საწარმოების სპეციალიზაციის განსახორციელებლად. ცნობილია, რომ ერთი და იგივე ან ანალოგიური სახის ნაწარმის გამოშვების ერთ ადგილზე თავმოყრა ხელს შეუწყობს ამ ნაწარმის თვითღირებულების შემცირებას, აგრეთვე სიმძლავრეთა განთავისუფლებას სხვა სახის ნაკეთობათა გადიდებისათვის.

საშენ მასალებზე კაპიტალური მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით 1959 წლის გეგმით გათვალისწინებულია საკედლე მასალების წარმოების გადიდება მთლიანად 13 პროცენტით, რომელთაგან სამშენებლო აგურის წარმოება გაიზრდება 6,3 პროცენტით, ხოლო მსხვილი ბეტონის, სილიკატური ბლოკებისა და უჯრედოვანი ბეტონებისაგან დამზადებული ბლოკების წარმოება — ერთისამად.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება გადიდდება 19,3 პროცენტით, გამოშვებულ იქნება 155 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები.

მიმდინარე წელს დაგეგმილია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 19 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამამზადებელი ახალი ქარხნები და პოლიგონები.

1959 წლის გეგმა ითვალისწინებს აჭამეთის სილიკატური აგურის ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემას; ეს ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 60 მილიონ ცალ სილიკატურ აგურს. აგრეთვე გაძლიერებული ტემპებით იწარმოებს ავჭალის სილიკატური აგურის ქარხნის მშენებლობა. იგი 1960 წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

გათვალისწინებულია კრამიტის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, უმთავრესად მეტეხის ახალი კრამიტის ქარხნის ამუშავებით.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველომ, მშენებლობის სამინისტრომ, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებისადმი და უზრუნველყონ მათი გამოშვების გადიდება მოქმედი ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციისა და ამ ქარხნებში წარმოების ინტენსიფიკაციის გზით. აგრეთვე ახალი ქარხნების მშენებლობით და საექსპლოატაციოდ გადაცემით.

ხის დამმუშავებელ მრეწველობაში ყველაზე მეტად გადიდდება ავეჯის, აგრეთვე მისთვის საჭირო ხე-ტყის მასალის წარმოება. ავეჯის გამოშვება 10,6 პროცენტით უნდა გადიდდეს.

ქ. თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა გრეხილი ავეჯის ახალი ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 16 მილიონი მანეთის პროდუქციას.

გეგმით გათვალისწინებულია მსუბუქი მრეწველობის დარგების შემდგომი ზრდა.

1959 წლიდან განზრახულია მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იმის გათვალისწინებით, რომ რაც შეიძლება სრულად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება.

ფეხსაცმლის, სათეთრეულე ტრიკოტაჟის, წინდის ნაწარმის გამოშვებაში მნიშვნელოვნად გადიდებულია საბავშვო ასორტიმენტის ნაკეთობათა ხვედრითი წონა. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქსოვილების ასორტიმენტი, რომლებსაც გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და თბილისის კამვოლმაუდის კომბინატი უშვებენ, ჯერ კიდევ არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნილებას.

1959 წელს გათვალისწინებულია გორის საფეიქრო კომბინატის სპეციალიზაცია. მისი მანქანა-დანადგარების რაციონალურად გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს ცუდად გამოყვანილი და ულაზათოდ გაფორმებული შტაპელისა და ბამბის ქსოვილების ნაცვლად მომხმარებელს მივაწოდოთ მაღალხარისხოვანი საპერანგე და საკაბე ქსოვილები, როგორიც არის პოპლინი, მარკიზეტი, სატინი, ზეფირი და სხვ. ხოლო კომბინატის მეორე რიგი სპეციალიზებული იქნება მამაკაცისა და ქალის ახალი სახის ზედა ტანსაცმლის, დეკორაციული და სახიანი ბამბის ქსოვილების გამოშვებაზე.

კვების მრეწველობის საერთო პროდუქცია 1959 წელს გაიზრდება მთლიანად 5,3 პროცენტით, ამასთან ღვინის გამოშვება — 8,3 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 10 პროცენტით, კონსერვის წარმოება — 11,1 პროცენტით.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კვების ნაკეთობათა ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი ზარალი მოსდის საკონსერვო მრეწველობას სხვადასხვა ჯემის, ხილფაფისა და სხვა ისეთ ნაკეთობათა გამოშვებით, რომლებზეც მოთხოვნილება არ არის.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესასრულებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს. ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში გაწეულია ერთგვარი მუშაობა, მაგრამ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რაც დღეს ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე დგას, ეს აშკარად არასაკმარისია.

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები განვლილ პერიოდში უკვე გამოვიდნენ ორგანიზაციული მდგომარეობიდან და მათში აღზრდილი კადრები წარმატებით ქმნიან ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოებს, მექანიზმებსა და მანქანებს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების ზრდის მიმართულება ყოველთვის როდი უპასუხებს ჩვენი მრეწველობის აქტუალური საკითხების გადაჭრის ამოცანებს. ისინი ხშირად ეწევიან ისეთი საერთო საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მოწყვეტილია მრეწველობის საარსებო საჭიროებას. საჭიროა, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ, სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან ერთად, თავის ხელში აიღოს ამ ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა და გარდაქმნას მათი თემატიკა ჩვენი მრეწველობის მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად.

## სოფლის მეურნეობა

სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას. გათვალისწინებულია მოიკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბარდეს 133 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამ დავალების შესრულება მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისაგან მოითხოვს დაძაბულ შრომას და ამთავითვე მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას. გაზრდილი დავალებებია ხილისა და ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. ყურძენი უნდა დამზადდეს 150 ათასი ტონა, ხოლო ხილი 70 ათასი ტონა. ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმა განისაზღვრება 31.500 ტონის ოდენობით, რაც თითქმის ორჯერ აღემატება 1958 წლის გეგმას და სამი ათასი ტონით მეტია, ვიდრე შარშან ფაქტიურად იყო დამზადებული. ეს თუმცა ძნელი, მაგრამ სავსებით რეალური დავალებაა, რომლის შესრულებისათვის დაუღალავად უნდა იმუშაონ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

1959 წელს უნდა გაშენდეს 1.500 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 5.500 ჰექტარი ვენახები და 3.400 ჰექტარი ბაღები.

გათვალისწინებულია აგრეთვე თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის ზრდა და მათ შესაბამისად წარმოების მოცულობის გადიდება.

მეცხოველეობის პროდუქტებზე ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველდღიურად მზარდ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს სოფლის მეურნეობას. გეგმით გათვალისწინებულია დამზადდეს 42 ათასი ტონა ხორცი, 110 ათასი ტონა რძე, 52 მილიონი ცალი კვერცხი, 4.200 ტონა მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. ეს სავსებით რეალური დავალებაა და მის შესასრულებლად საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი და უწინარეს ყოვლისა უზრუნველყონ მეცხოველეობის საკვები ბაზის მკვეთრად გაძლიერება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის ნათესების ფართობის გადიდებას და, რაც მთავარია, მოსავლიანობის ზრდას, როგორც მარცვლისა — კონცენტრირებული საკვებისათვის, ისე მწვანე მასისა — მეტი სილოსის დასამზადებლად.

## კაპიტალური მშენებლობის საკითხები

შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესაბამისად, 1959 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 2.051 მილიონი მანეთით განისაზღვრება. ეს 221 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1958 წელს ფაქტიურად იყო შესრულებული. გაიზრდება აგრეთვე კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.

კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობიდან 1959 წელს 80 პროცენტზე მეტი მოხმარდება სამრეწველო მშენებლობას.

მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალდაბანდებანი შავ მეტალურგიაში, ქიმიურ და ნავთობის მრეწველობაში. კაპიტალური მშენებლობა მომავალ წლებში განხორციელდება ხარისხობრივად ახალ საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალდაბანდებათა გაცილებით უფრო მეტ ეფექტიანობას და დახარჯული სახსრების უფრო მეტად ანაზღაურებას.

1959 წელს ქიმიურ მრეწველობაში იწყება შვიდწლედის ახალმშენებლობანი. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა მიიღებს 50 მილიონ მანეთს; ამ ქარხნისათვის კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმის ყველა წლის მიხედვით იმ ანგარიშით, რომ სიმძლავრე ყოველწლიურად გაიზარდოს და 1965 წლისათვის 2,5-ჯერ გადიდდეს.

გარდა ამისა, წელს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში იწყება კაპროლაქტამის საამქროს მშენებლობა. ეს საამქრო წელიწადში გამოუშვებს ათასობით ტონა კაპროლაქტამს.

1959 წელსვე დაიწყება რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობა. ეს ქარხანა წელიწადში გამოუშვებს ათასობით ტონა ბოჭკოს.

ეფექტიანად წყდება კასპის ცემენტის ქარხნის გაფართოების საკითხი. მინიმალური დანახარჯებით უზრუნველყოფილი იქნება ქარხნის სიმძლავრის მნიშვნელოვანი ზრდა.

მარგანეცის მრეწველობაში წარმოებული მშენებლობისათვის დაბანდებული იქნება 100 მილიონ მანეთზე მეტი და საექსპლოატაციოდ გადაეცემა მარგანეცის მადნის მოსაპოვებლად 1.200 ათასი ტონის ახალი სიმძლავრე.

ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 294 მილიონი მანეთი, ამასთან განზრახულია ამუშავდეს ლაჯანურის ჰიდროელსადგურის პირველი ტურბინაგრეგატი, შაორის ჰიდროელსადგურის ორი ტურბინაგრეგატი. გარდა ამისა, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 35 ათასი ვოლტის და მეტი ძაბვის 300 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზი.

1959 წელს დაიწყება ბათუმის ნავთობსახდელი ქარხნის გაფართოება და რეკონსტრუქცია, მნიშვნელოვნად გადიდდება ასიგნობანი საქართველოს ნავთობის საბადოებში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის დაძაბული ბალანსის გამო, როცა ყოველწლიურად შემოგვაქვს 1,5 მილიონ ტონამდე ქვანახშირი, აქედან ნახევარ მილიონ ტონაზე მეტი კოქსვადი კონცენტრატები, საშახტო მშენებლობის გაძლიერება და საშახტო ფონდის, განსაკუთრებით კოქსვადი ქვანახშირის ფონდის გადიდება ქართველ მექვანახშირეთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნებისათვის 1959 წელს გათვალისწინებულია 119 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ამ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებათა წარმატებით ასათვისებლად და დასახულ ვადებში ახალი შახტების საექსპლოატაციოდ გადასაცემად სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა და ტრესტებმა საგრძნობლად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და ზუსტად მოაწყონ სამშენებლო სამუშაოები.

მომავალ შვიდწლედში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალი საავტომობილო გზების მშენებლობას, არსებული გზების რეკონსტრუქციას, კაპიტალურ რემონტს და გზების მოვლა-შენახვას.

საავტომობილო ტვირთზიდვისა და ავტომანქანათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა შეუძლებელია, თუ არ გვექნება ყოველმხრივ მოწყობილი საავტომობილო გზები. უამისოდ შეფერხდებოდა ტვირთზიდვა, სერიოზული ზარალი მოუვიდოდა ჩვენს საავტომობილო პარკს. ეს გარემოება კი რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გახდებოდა.

ახალი საავტომობილო გზების მშენებლობის, არსებული გზების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების საქმეში რეალური ნაბიჯები გადადგმული იქნება უკვე 1959 წელს.

მიმდინარე წელს კაპიტალური შეკეთების ხაზით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 99,6 მილიონი მანეთი. რეკონსტრუირებული იქნება და კაპიტალურად შეკეთდება 285 კილომეტრი საერთო-სახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები. აშენდება და რეკონსტრუირებული იქნება მუდმივი ტიპის 90 ხიდი.

გარდა აღნიშნულისა, საგზაო მშენებლობაზე დაიხარჯება საავტომობილო მეურნეობათა შემოსავლის 2-პროცენტიანი მიზნობრივი ანარიცხები, რაც მიმდინარე წელს დაახლოებით 10 მილიონამდე მანეთს შეადგენს.

1959 წლის გეგმით გათვალისწინებულია აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდა.

ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია, გასულ წელთან შედარებით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გაიზრდება 3,7 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში 3,9 პროცენტით. საგრძნობი ზრდა არის გათვალისწინებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით მრეწველობის დარგში.

მიმდინარე წელს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი 1958 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თითქმის ერთიორად გაიზრდება, რის შედეგადაც გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ანგარიშში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები 4.460 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობით, სკოლები — 2.080 მოწაფის ადგილის რაოდენობით. აჭარის ასს რესპუბლიკაში აშენდება საცხოვრებელი სახლები 3.840 კვ. მეტრი ფართობით. სკოლები — 1.040 მოწაფის ადგილის რაოდენობით და 100-საწოლიანი საავადმყოფო. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2.600 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სკოლები — 320 მოწაფის ადგილით.

## შრომისა და პროდუქციის თვითღირებულების საკითხები

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შესაბამისად, 1959 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 20 ათასზე მეტი კაცით გადიდდება, ხოლო ხელფასის ფონდი 5 პროცენტით გაიზრდება. გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება მრეწველობაში, მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობაში.

1959 წლის გეგმით გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში 4 პროცენტით ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით; ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო პროდუქციის ზრდის 67,0 პროცენტი მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

ჩვენ მნიშვნელოვანი რეზერვები მოგვეპოვება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დაწესებული დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

1959 წლის გეგმით გათვალისწინებულია დაიხარჯოს წარმოებაში სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე 94,1 კაპიკი, ესე იგი 0,3 პროცენტით ნაკლები, ვიდრე 1958 წელს.

ეს შემცირება უნდა ჩატარდეს მრეწველობის ზოგიერთ დარგში დანახარჯების გადიდების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასების და სხვა ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა ითვალისწინებს ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და სათბობის ნორმატიული დანახარჯების შემცირებას მსუბუქ და კვების მრეწველობაში, ელექტროსადგურებში, მანქანათმშენებლობაში. ეს შემცირება უნდა გატარდეს ხარჯვის ნორმების გადასინჯვის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, წუნის აღმოფხვრისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რაც თვითეულმა საწარმომ, ფაბრიკამ და ქარხანამ უნდა დასახოს ახლავე, 1959 წლის გეგმის შედგენის დროს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დიდ რეზერვს წარმოადგენს წარმოების სპეციალიზაცია, რომლის შემდგომი განვითარება სისტემატურად უნდა წარმოებდეს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამშენებლო-სამონტაჟო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების თვითღირებულების შემცირებას, რაც 1959 წლისათვის უნდა შეადგენდეს სახარჯთაღრიცხვო ფასებთან შედარებით 4,3 პროცენტს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და 6,3 პროცენტს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებზე.

## ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის გაუმჯობესების საკითხი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ახორციელებს რა მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების ამოცანას, საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს სახსრებს გამოჰყოფს საბინაო მშენებლობისათვის. 1959 წელს ამ მიზნისათვის გაღებულია 350 მილიონი მანეთი. ეს გაცილებით მეტია იმაზე, რაც 1958 წელს დაიხარჯა. იმ საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1959 წელს სახელმწიფო გეგმით, 401 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს.

გათვალისწინებულია აგრეთვე კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ბანკების კრედიტების გადიდება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს საცხოვრებელი სახლები 400 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით.

ამრიგად, 1959 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 801 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 1959 წელს — 114 მილიონი მანეთი, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგებას, კანალიზაციისა და ელექტროქსელის შემდგომ გაფართოებას.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის შესაბამისად, ჩვენს რესპუბლიკაში სისტემატურად ფართოვდება საქონელბრუნვა. 1959 წლისათვის გათვალისწინებულია გადიდდეს საქონელბრუნვა 1958 წელთან შედარებით 8,5 პროცენტით, ამასთან სახელმწიფო ვაჭრობაში — 7,7 პროცენტით და სამომხმარებლო კოოპერაციაში — 10,5 პროცენტით.

მოსახლეობას მიეყიდება მეტი სამრეწველო საქონელი, ხორცი, რძის ნაწარმი და სხვა პროდუქტები.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებით 1958 წლის დამლევიდან და 1959 წელს მძიმე მრეწველობის საწარმოების უმრავლესობა გადაყვანილი იქნება შვიდი საათის, ხოლო მიწისქვეშა და მავნე სამუშაოებზე — ექვსი საათის სამუშაო დღეზე. ამ ღონისძიების განხორციელება მოითხოვს დიდ ორგანიზაციულ და მოსამზადებელ მუშაობას.

1959 წლის გეგმაში თავისი გამოხატულება ჰპოვეს ქართველი ხალხის კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიებებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ 1958 წლის 24 დეკემბერს მიიღო ისტორიული კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნა უნდა განხორციელდეს სამი-ხუთი წლის განმავლობაში, 1959/60 სასწავლო წლიდან დაწყებული. ამის შესაბამისად დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ ამ კანონის განსახორციელებლად, რათა საბჭოთა საშუალო სკოლამ, აგრეთვე პროფესიულმა ტექნიკურმა და უმაღლესმა სკოლებმა ჩვენს რესპუბლიკაში უფრო აქტიური როლი შეასრულონ კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

სკოლები სათანადო სადგომებით რომ იქნან უზრუნველყოფილი, 1959 წელს გათვალისწინებულია გადაეცეს საექსპლოატაციოდ სკოლის ახალი შენობები 14.500 მოსწავლის ადგილით.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების —სკოლა-ინტერნატების ქსელის გადიდებას. ასეთი სკოლების რიცხვი 1959 წელს უნდა გადიდდეს 12-დან 25-მდე, ხოლო ამ სკოლების მოსწავლეთა კონტიგენტი — 2.324-დან 5.500 მოსწავლემდე.

მიმდინარე წელს დაგეგმილია რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის საგრძნობი ზრდა.

1959 წელს გათვალისწინებულია ახალი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც ყოველთვის, ასახავენ ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს და მიმართულია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ კომუნისტური პარტიის დიადი შემოქმედებითი გეგმებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1959 წელს მიაღწიონ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომ აღმავლობას, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია შეიკრიბა იმ მომენტში, როცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-65 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. თეზისების განხილვის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს შვიდწლიან გეგმას, რომლითაც დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა.

საქართველოს სს რესპუბლიკის წინაშე შვიდწლედით დასახულია დიდი ამოცანები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად განვითარდება ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა. მრეწველობის ყველა დარგი, წინ წაიწევს კულტურა. მეცნიერება და ამაღლდება ხალხის მატერიალური ცხოვრების დონე.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა სესიას უკვე მოახსენა 1958 წელს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისა და იმ ამოცანების შესახებ, რაც 1959 წლისათვის დასახულია საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად და სათანადო ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფს 1959 წლისათვის დასახული ყველა ღონისძიების გატარებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა როგორც შემოსავალში, ისე ხარჯებში გათვალისწინებულია თანხით 5.768.340 ათასი მანეთი, რაც 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას წინასწარი მონაცემებით აღემატება 7,5 პროცენტით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ეს მოცულობა 1957 წელს დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით გაზრდილია 2.140 მილიონი მანეთით ანუ 58,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ ბიუჯეტის ასეთი ზრდა შედეგია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული დიდი ღონისძიებებისა, რაც მიმართული იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების მნიშვნელოვნად გაფართოებისაკენ, აგრეთვე იმისა. რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სამრეწველო, სამშენებლო, სამეცნიერო-საკვლევი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და ორგანიზაციები საკავშირო დაქვემდებარებიდან გადაცემულ იქნენ რესპუბლიკის გამგებლობაში.

გასულ 1958 წელს მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში, რომლებმაც სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული გასულ წელს აგრეთვე სოფლის მეურნეობაში.

## ბიუჯეტის შემოსავალი

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენს სოციალისტური საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული შემოსავალი. გასულ წელთან შედარებით ამ სახის შემოსავალი 1959 წლისათვის იზრდება 343,7 მილიონი მანეთით და ბიუჯეტის საერთო შემოსავალში უჭირავს 88,7 პროცენტი. ამ შემოსავალში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ბრუნვის გადასახადს და სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების ანარიცხებს. გასულ წელს ბრუნვის გადასახადის ყოველკვარტალური დავალებანი და მთლიანად წლიური გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წელს, წინა წელთან შედარებით. საგრძნობლად გაზრდილია ბრუნვის გადასახადის საერთო კონტინგენტი, საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭომ, მისმა დარგობრივმა სამმართველოებმა, სათანადო სამინისტროებმა, სავაჭრო-გამსაღებელი ბაზების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყოველდღიური კონტროლი დააწესონ საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებაზე და უზრუნველყონ ბრუნვის გადასახადის შემოსვლა ბიუჯეტში გათვალისწინებული ოდენობით და დაწესებულ ვადებში.

1959 წელს. წინა წელთან შედარებით. რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგება იზრდება 221.8 მილიონი მანეთით და შეადგენს 2.110,0 მილიონ მანეთს. აქედან ბიუჯეტში გადასახდელების სახით ამოღებულ იქნება 1423.2 მილიონი მანეთი, რაც 1958 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 215,6 მილიონით. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ დიდი ოდენობით ვერ შეასრულა საფინანსო გეგმით გათვალისწინებული მოგება და ანარიცხები ბიუჯეტში. მოგების ანარიცხების გეგმა ვერ შეასრულეს აგრეთვე წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთმა სამეურნეო ორგანიზაციამ.

1959 წელს დაგროვებისა და ბიუჯეტში მოგების ანარიცხების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელია, რათა ყველა საწარმოს მიერ უზრუნველყოფილ იქნას გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება ასორტიმენტისა და ხარისხის დაცვით, აგრეთვე დაგროვების გეგმისა და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

კოლმეურნეობის საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტის შემოსავალი 1959 წელს იზრდება წინა წელთან შედარებით, რაც აიხსნება კოლმეურნეობათა შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდებით, ამასთან უნდა მოგახსენოთ. რომ გადასახადის საშუალო განაკვეთი 14 პროცენტიდან შემცირდება 12.5 პროცენტამდე. გადასახადის განაკვეთის ასეთი შემცირების შედეგად კოლმეურნეობებს საშუალება ექნებათ უფრო მეტი ოდენობით მიმართონ თავიანთი შემოსავალი მეურნეობის გასაფართოებლად და შრომადღეებზე განაწილებისათვის.

წელს გათვალისწინებულია მოსახლეობის კინომომსახურებიდან ბიუჯეტში შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება. ამასთან უნდა აღინიშნოს. რომ ადგილი აქვს კინოდანადგარების გაცდენას, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში. საჭიროა კულტურის სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებმა გაატარონ დამატებითი ღონისძიებანი იმისათვის, რომ აუცილებლად შესრულდეს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილება რესპუბლიკაში ყველა დასახლებული პუნქტის კინომომსახურების შესახებ.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლის შემდგომი ზრდა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება ხელსაყრელ პირობებს ქმნის შემნახველ სალაროებში ანაბრების მოზიდვისათვის.

უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში ანაბრები გაიზარდა ხუთას მილიონამდე მანეთით და ამჟამად ერთნახევარ მილიარდ მანეთს აღემატება.

რესპუბლიკის მოსახლეობას ამჟამად მომსახურებას უწევს 882 შემნახველი სალარო. წელს გათვალისწინებულია კიდევ ახალი შემნახველი სალაროების გახსნა.

საჭიროა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ შემნახველი სალაროების მუშაობა და უზრუნველვყოთ მოსახლეობის თავისუფალი თანხების მოზიდვის დავალებათა შესრულება.

სახელმწიფო დაზღვევის საქმე ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება, რადგან ამას დიდი სარგებლობა მოაქვს მოსახლეობისათვის, კოლმეურნეობებისათვის და სახელმწიფოსათვისაც. სტიქიური მოვლენებისა და უბედური შემთხვევებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების სახით ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს და მოსახლეობას მარტო გასულ წელს 70 მილიონამდე მანეთი მიეცათ. სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო დაზღვევის საქმე გასული წლიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაშია გადაცემული და რესპუბლიკის ბიუჯეტში ამ დარგიდან გათვალისწინებულია გარკვეული შემოსავალი.

ამჟამად ბევრ რაიონში მიღწეულია სახდაზღვევის ოპერაციების რენტაბელობა, მაგრამ რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში ჯერ კიდევ დიდად ზარალიანია ცხოველების სავალდებულო დაზღვევა. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მოსახლეობაში სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გატარებისა და გადასახდელთა აკრეფის საქმე.

ადგილობრივი ორგანოების დახმარებით სახელმწიფო დაზღვევის საქმე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ და სათანადო სიმაღლეზე იქნება აყვანილი.

## ბიუჯეტის გასავალი

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დახასიათებას იძლევა შემდეგი მონაცემები:

| | გათვალისწინებულია 1959 წლის ბიუჯეტით (ათასი მან.) | ხვედრითი წონა ბიუჯეტში (%) |
|---|---|---|
| 1. სახალხო მეურნეობის დაფინანსება | 2.529.864 | 43,9 |
| 2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება | 2.904.174 | 50,3 |
| 3. მმართველობის ორგანოების შენახვა | 182.838 | 3,2 |

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ 1959 წელს სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე დაიხარჯება 2.529.864 ათასი მანეთი. გარდა ამისა, საწარმოთა და ორგანიზაციების მოგებიდან. საამორტიზაციო სახსრებიდან და სხვა საკუთარი წყაროებიდან გათვალისწინებულია დაიხარჯოს 2.054.207 ათასი მანეთი. ამგვარად. სახალხო მეურნეობაზე ხარჯების საერთო თანხა შეადგენს 4.584.071 ათას მანეთს, ანუ გასულ წელთან შედარებით 197,0 მილიონი მანეთით მეტს.

აქედან საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის დარგები ბიუჯეტიდან მიიღებენ 1.244 მილიონ მანეთს და გამოიყენებენ საკუთარ სახსრებს 1.148,0 მილიონ მანეთს, სულ კი 2.392,0 მილიონ მანეთს.

საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით კაპიტალურ დაბანდებებზე დაფინანსება გათვალისწინებულია 1302,0 მილიონი მანეთი; გარდა ამისა, კაპიტალურ მშენებლობაზე სახსრები გამოყოფილი იქნება აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი წყაროებიდან.

1959 წელს ბიუჯეტით კაპიტალურ დაბანდებებზე მსხვილი თანხებია გამოყოფილი საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით, აგრეთვე მშენებლობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, განათლების და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროებისათვის.

კაპიტალურ დაბანდებებზე მსხვილი ასიგნებანი გამოეყო საბინაო მშენებლობისათვის ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის გეგმით გათვალისწინებული საბინაო მშენებლობა.

საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური სახსრების ასეთი თავმოყრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საბინაო მშენებლობის ტემპის გაძლიერებას და დასახული გეგმების შესრულებას.

სახალხო მეურნეობის გეგმით 1959 წლისათვის წარმოებისა და მშენებლობის დასახულ გაფართოებასა და საქონელბრუნვის გადიდებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საბრუნავი სახსრების მატება სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის 357,6 მილიონი მანეთით, მათ შორის ბიუჯეტიდან 138,6 მილიონი მანეთით.

## სახალხო მეურნეობის დაფინანსება

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, რაც ჩვენში 1957 წელს განხორციელდა, შექმნა ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას მომავალ შვიდწლედში ჩვენი მრეწველობისა და მშენებლობის წინაშე მდგომი ამოცანები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა სამრეწველო საწარმოებმა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო წარმოების გეგმა; შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების საგეგმო დავალება და 1958 წლის მარტო 9 თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულ იქნა ეკონომია 35 მილიონი მანეთის ოდენობით.

ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის საბჭოს ცალკეული დარგობრივი სამმართველოებისა და საწარმოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ჯერ კიდევ არის ზოგიერთი საწარმოს მიერ ასორტიმენტის დარღვევისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელი რიგი საწარმოები არ ეწევიან სათანადო ბრძოლას მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობისა და ეკონომიისათვის. რაც იწვევს დაგროვების გეგმების შეუსრულებლობას და უარყოფით გავლენას ახდენს ამ საწარმოთა საფინანსო მდგომარეობაზე.

იმის შედეგად, რომ ადგილი აქვს გადახარჯვებს ხელფასში, ნედლეულსა და მასალებში, აგრეთვე წუნით გამოწვეულ დანაკარგებსა და სხვა უნაყოფო ხარჯებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალება და დაუშვეს თვითღირებულების გაძვირება დიდი ოდენობით.

ზოგიერთ საწარმოში ადგილი ჰქონდა მუშახელის ზეგეგმითი რაოდენობით ყოლას, რამაც გამოიწვია ხელფასის ფონდის შეუსაბამობა შრომის ნაყოფიერების დონესთან, საბოლოო ჯამში კი ხელფასის ფონდის გადახარჯვა.

საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის ხაზით ხელფასის ზრდა წინ უსწრებდა შრომის ნაყოფიერების დონეს 24,5 პროცენტით და ამ გზით გადახარჯულ იქნა 1,04 მილიონი მანეთი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფილი არ არის გამომუშავების ნორმების თავისდროული გადასინჯვა, მაშინ როცა სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელ რიგ საწარმოებში ეს ნორმები უკვე მოძველდა და მათ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს საწარმოებში წუნისაგან დანაკარგებმა შეადგინა 2,5 მილიონი მანეთი, პროდუქციის დაბალხარისხოვნად გამოშვებას ადგილი ჰქონდა ნოსირის და ზუგდიდის ქარხნებში.

საქონლის მიწოდების ვადებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხიანობის დარღვევის, აგრეთვე ვაგონების ზეგეგმითი მოცდენისა და სხვა ამგვარი დარღვევების გამო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის და ზოგიერთი სხვა საწარმოს მიერ დაშვებული იყო უნაყოფო ხარჯები და რეალიზაციის გარეშე დანაკარგები დიდი ოდენობით. გორის ბამბეულის კომბინატმა დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და გადატვირთვის შედეგად გადაიხადა პირგასამტეხლო და ჯარიმა 688 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკამ ამავე მიზეზით — 569 ათასი მანეთი.

დიდი ზეგეგმითი ზარალი დაუშვა კომბინატმა „საქქვანახშირმა".

ცალკეული საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან საბრუნავი სახსრების შენარჩუნებისა და უკეთ გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად დაშვებულია საბრუნავი სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტები.

კაპიტალურ მშენებლობაში ადგილი ჰქონდა დაუმთავრებელ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების ნაშთების ზრდას. ამავე პერიოდში გაიზარდა აგრეთვე დაუდგმელი მოწყობილობის ნაშთები.

იმ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, რომლებიც სახალხო მეურნეობის საბჭოს აქვს, ცალკეული დარგობრივი სამმართველოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ზემოაღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებების არსებობა დაუშვებელია და იგი უმოკლეს ხანში აღმოფხვრილ უნდა იქნას.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ 1958 წელს უზრუნველყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება. მაგრამ ამ სამინისტროს ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან სამუშაოთა ღირებულების შემცირებისათვის; მათ მიერ 1958 წლის 9 თვეში დაშვებულია შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების გაძვირება საგეგმო ღირებულებასთან შედარებით 14 მილიონი მანეთის ოდენობით; ადგილი ჰქონდა გადახარჯვებს ხელფასის ფონდში და მასალებში და მთელ რიგ შემთხვევებში მიწერას შესრულებულ სამუშაოებში; ჯერ კიდევ დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

საჭიროა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური ბანკების დაწესებულებებმა გააძლიერონ კონტროლი კაპიტალურ მშენებლობაზე.

გასული წლის ნოემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ სპეციალურად განიხილა საგზაო მშენებლობის საკითხები. მიღებული დადგენილების შესაბამისად გზების მშენებლობისა და მოვლისათვის 1959 წელს გათვალისწინებულია 229.314 ათასი მანეთი, აქედან ბიუჯეტით დაიხარჯება 180,9 მილიონი მანეთი.

ახალ საბინაო მშენებლობასთან ერთად ყოველწლიურად დიდდება ბიუჯეტიდან ასიგნობანი არსებული კომუნალური საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის. ამ მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30 მილიონი მანეთი. ბინების კაპიტალურ რემონტზე დიდი თანხები იხარჯება აგრეთვე საბინაო მეურნეობის საკუთარი სახსრებიდან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხების ხარჯვა კვლავ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. გასულ წელს ზოგმა რაიონმა ვერ აითვისა ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრები, ადგილი ჰქონდა რემონტისათვის განკუთვნილი თანხების დაქსაქსვას, სარემონტო სამუშაოების არადროულად და დაბალხარისხოვნად შესრულებას.

საჭიროა ადგილობრივმა საბჭოებმა მკვეთრად გააუმჯობესონ მათდამი დაქვემდებარებული სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა ისე, რომ გამოყოფილი სახსრები მთლიანად და დანიშნულებისამებრ ხმარდებოდეს არსებული საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებას.

1959 წლის ბიუჯეტით ქ. თბილისის კომუნალური საცხოვრებელი სახლების შიდა გაზიფიკაციის სამუშაოებზე გათვალისწინებულია 15 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოსა და სამეურნეო ორგანიზაციაში ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას სოციალისტური საკუთრების დაცვა. ჯერ კიდევ არის მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დანაკლისისა და გაფლანგვის ფაქტები, განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემასა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში.

ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის. რომ არ იქნას დაშვებული სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრების მითვისება. და უმოკლეს დროში ამოიღონ ამ გზით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება.

საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელებმა უფრო სრულად გამოიყენონ მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვების ზრდის არსებული რეზერვები. რესპუბლიკის საფინანსო ორგანოებმა და ბანკების დაწესებულებებმა საფინანსო კონტროლის გაძლიერებით უფრო აქტიური ზეგავლენა უნდა მოახდინონ საწარმოების მუშაობაზე. რომ ისინი ასრულებდნენ სამეურნეო და საფინანსო გეგმებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე.

## სოფლის მეურნეობის დაფინანსება

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ფართო პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებამ გამოიწვია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდება და მშრომელთა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ და ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ახალი ფასების შემოღებამ.

მტს-ების მეშვეობით კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების გაუქმებამ და კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის მიყიდვამ შექმნა პირობები მისი უკეთ გამოყენებისათვის და დადებითად იმოქმედა კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

1959 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხარჯები შეადგენს 544,7 მილიონ მანეთს, მათ შორის ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 336,7 მილიონი მანეთი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით 1958 წლიდან კოლმეურნეობები თვითონ ყიდულობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და ეწევიან საწარმოო ხარჯებს. სარემონტო-ტექნიკური სადგურების ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად ბიუჯეტით გათვალისწინებულია 42,5 მილიონი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ დაბანდებებზე — 25.590 ათასი მანეთი.

სარემონტო-ტექნიკური სადგურების საქმიანობა 1959 წელს დაგეგმილია დაგროვებით, რომლის უმეტესი ნაწილი რჩება ამ სადგურების განკარგულებაში კაპიტალური დანახარჯებისათვის.

1958 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მიერ მოპოვებულ წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც საწარმოო და საფინანსო გეგმას ვერ ასრულებენ.

ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი საჭირო ყურადღებას არ აქცევს წარმოების ეკონომიკის საკითხებს და უშვებს პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალურ ფასეულობათა დიდ დანახარჯებს.

საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გააძლიეროს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველყოს საბჭოთა მეურნეობების მიერ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება და ყველა საბჭოთა მეურნეობის გადაქცევა მაღალრენტაბელურ მეურნეობებად.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე აგრონომიული და ზოოვეტერინარული ქსელის დასაფინანსებლად და სახელმწიფო ღონისძიებათა განსახორციელებლად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით 1959 წელს გამოყოფილი იქნება 320,5 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 168,3 მილიონი მანეთი.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით დაბანდებები შეადგენს 98,1 მილიონ მანეთს, მათ შორის ბიუჯეტიდან 79,9 მილიონ მანეთს.

საქართველოს ბუნების დაცვის შესახებ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად ტყეკულტურების გაშენებისა და სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ხაზით გათვალისწინებულია 46 მილიონი მანეთი.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა ფულადი შემოსავალი, რაც კოლმეურნეობებს შესაძლებლობას მისცემს საგრძნობლად გაადიდონ განუყოფელ ფონდებში გადარიცხვა და ამ სახსრებისა და სახელმწიფო კრედიტის ხარჯზე აწარმოონ გაზრდილი კაპიტალური მშენებლობა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ბანკმა რესპუბლიკის მცირე შეძლების კოლმეურნეობებს გაუწია დახმარება 290 მილიონ მანეთზე მეტი გრძელვადიანი საწარმოო კრედიტების მიცემით. საჭირო ოდენობით გაეწევათ საკრედიტო დახმარება კოლმეურნეობებს 1959 წელს.

საჭიროა ეს თანხები გამოყენებულ იქნას მიზნობრივი დანიშნულებით.

## სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე წლითიწლობით იზრდება. ამ დანიშნულებისათვის ასიგნებანი წელს იზრდება 148 მილიონი მანეთით და შეადგენს 2.904 მილიონ მანეთს.

1959 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებული იქნება 602 საბავშვო ბაღი, სადაც მოთავსებული იქნება 34.190 ბავშვი და მათ შენახვაზე დაიხარჯება 77,5 მილიონი მანეთი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების ქალაქის და სოფლის 4.206 სკოლაში ისწავლის 627,2 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. ამ სკოლების შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 567.665 ათასი მანეთი. საჭიროა რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ახალი სასწავლო წლის დაწყებისას სერიოზული ყურადღება მიაქციონ სკოლებისა და მათში კლასების სწორად დაკომპლექტებას და უზრუნველყონ კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის დაწესებული ნორმების დაცვა.

სკკპ XX ყრილობის დადგენილების საფუძველზე საბჭოთა კავშირში დამკვიდრდა და ვითარდება ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება — სკოლა-ინტერნატი. სკოლა-ინტერნატების შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 33,7 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 13,2 მილიონი მანეთით.

სახალხო მეურნეობის განვითარების 7-წლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქალაქად მუშა ახალგაზრდობისა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გაფართოება. 1959 წელს ამ სახის სკოლების რიცხვი გადიდდება და მათში მოსწავლეთა კონტინგენტი 31,3 ათას კაცს მიაღწევს. მათ შენახვაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 22.826 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ 1959 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული იქნება 1.315 ბიბლიოთეკა, 191 კულტურის სახლი და 1.355 ქოხ-სამკითხველო, სოფლის კლუბი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ დაწესებულებათა შენახვაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 55,7 მილიონი მანეთი.

ამასთან ერთად უკანასკნელ პერიოდში კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებით სოფელ ადგილებში შენდება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

უმაღლეს სასწავლებლებზე, სპეციალურ საშუალო სკოლებსა და კადრების მომზადებისა და გადამზადების სხვა დაწესებულებებსა და ღონისძიებებზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 195,6 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ 13 უმაღლეს სასწავლებელში ისწავლის 11.384 სტუდენტი, ხოლო 86 ტექნიკუმსა და სასწავლებელში —18.217 მოსწავლე.

გათვალისწინებულია 1959 წელს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გაფართოვდეს დაუსწრებელი და საღამოს სწავლება, რომელშიც ჩაბმული იქნება 13.400 კაცი.

საგრძნობლად იზრდება ასიგნებანი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შენახვასა და შემდგომ გაფართოებაზე. ამ დანიშნულებით გათვალისწინებულია 203,7 მილიონი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 37,6 მილიონი მანეთით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და მასში შემავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების შენახვაზე დაიხარჯება 96,6 მილიონი მანეთი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და მასში შემავალ საკვლევ ინსტიტუტებზე — 28,7 მილიონი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვის

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

## საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენების დასასრული

სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებზე — 33,4 მილიონი მანეთი.

განათლების ყველა სახის დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე 1959 წლის ბიუჯეტით დაიხარჯება 65,4 მილიონი მანეთი, ხოლო ინვენტარის შეძენაზე 57,4 მილიონი მანეთი.

ხელოვნების, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, აგრეთვე შემოქმედებითი დაწესებულებების ღონისძიებებზე 1959 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ა 34,6 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, თეატრები და მუსიკალური დაწესებულებები საკუთარი სახსრებიდან დახარჯავენ 38 მილიონ მანეთს, სულ კი ამ ღონისძიებებს 72,6 მილიონი მანეთი მოხმარდება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების ხელმძღვანელები კიდევ უფრო აამაღლებენ ღეკადის პერიოდში მოპოვებულ შემოქმედებით მიღწევებს. გააუმჯობესებენ მუშაობას ახალი დადგმების და მაყურებელთა მოზიდვის გეგმების შესასრულებლად და დაამყარებენ მტკიცე რეჟიმს სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის საქმეში.

წელს ფართოვდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი, რომლის შენახვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულია 700,3 მილიონი მანეთი, რაც ამ დანიშნულებით 1958 წლის ხარჯებს 41,5 მილიონი მანეთით აღემატება.

მიმდინარე წლის ბოლოსათვის საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი აყვანილ იქნება ქალაქებში 19.948, ხოლო სოფლად 6.390-მდე.

ჯანმრთელობის დაცვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო თანხებიდან დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება 20,3 მილიონი მანეთი, სამედიცინო და სამეურნეო ინვენტარის შეძენაზე — 11,0 მილიონი მანეთი, რბილი ინვენტარის შეძენაზე — 17,0 მილიონი მანეთი, მედიკამენტების და შესახვევი მასალების შეძენაზე — 43,5 მილიონი მანეთი.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე, ისევე როგორც განათლების დარგში. ბიუჯეტით გამოყოფილი საერთო ასიგნობებიდან ხელფასი შეადგენს 50 პროცენტზე მეტს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო, აგრეთვე პედაგოგიური და სხვა მუშაკების ხელფასის სწორ ტარიფიკაციას და ხელფასის ფონდის ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერებას.

ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებაში ვერ ითვისებენ ერთ ავადმყოფზე გათვალისწინებულ კვების ნორმებს.

ფართოვდება და უმჯობესდება მშრომელთა საკურორტო მომსახურება. წელს რესპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაისვენებს 186.6 ათასი კაცი, საკურორტო მეურნეობის განვითარებაზე გათვალისწინებულია 56,6 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან დაიხარჯება 22,3 მილიონი მანეთი.

ბიუჯეტით ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე გათვალისწინებულია 21,9 მილიონი მანეთი. ამ ღონისძიებებზე საგრძნობი თანხები იხარჯება აგრეთვე სასკოლო დაწესებულებებისა და სასპორტო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით.

პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სამმართველო აპარატის შტატები და მათი შესანახი ხარჯები. შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ გასულ წელს 26,4 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო 1959 წლისათვის გათვალისწინებულია 30 მილიონი მანეთის ოდენობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის არასაჭირო და პარალელურად მოქმედი ორგანიზაციები, აგრეთვე ზედმეტობა შტატებში. გასულ წელს რესპუბლიკის ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში გამოვლინებულ იქნა შტატზევითი ერთეულების, უკანონოდ გადიდებული განაკვეთებისა და ზედმეტ ასიგნობათა მრავალი ფაქტი. უნდა გაძლიერდეს მუშაობა სამმართველო აპარატის გაიაფებისა და მისი სტრუქტურის გამარტივებისათვის, ამასთან მტკიცე კონტროლი დაწესდეს ამ დანიშნულებით სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისადმი.

### ადგილობრივი ბიუჯეტები

1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების საერთო თანხა გათვალისწინებულია გასავლის ნაწილში 2.213,4 მილიონი მანეთის ოდენობით. აქედან შემოსავლის ადგილობრივი წყაროებით იფარება 610,5 მილიონი მანეთი, დანარჩენი 1.602,9 მილიონი მანეთი ადგილობრივ ბიუჯეტებს ეძლევათ სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლიდან ანარიცხების და პირდაპირი დოტაციის სახით.

გასულ წელთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა გაზრდილია 206,5 მილიონი მანეთით.

ცალკე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით 1959 წლის ბიუჯეტების მოცულობის შესახებ დეპუტატებს უკვე დაურიგდათ სათანადო მონაცემები.

ადგილობრივ ბიუჯეტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხებს. ეს ანარიცხები 1959 წელს ბიუჯეტში შეადგენს 337,4 მილიონ მანეთს.

1958 წელს ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობამ და კომუნალურმა საწარმოებმა თუმცა პროდუქციის გამოშვებისა და მომსახურების საგეგმო დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ამასთან ერთად ბევრი სამრეწველო და კომუნალური საწარმო ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს — ვერ ასრულებს წარმოებისა და მოგების საგეგმო დავალებებს და ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. ელექტრომეურნეობისა და წყალსადენის ქსელში ადგილი აქვს ნორმის ზევით დანაკარგებს.

1959 წელს ადგილობრივი მრეწველობის მოგებიდან 103,4 მილიონი მანეთი გამოყენებულ იქნება ადგილობრივი მრეწველობის გაფართოებაზე, აქედან 84 მილიონი მანეთი მოხმარდება გეგმისზევით კაპიტალურ დაბანდებებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში გათვალისწინებულია აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი სარეწაო კოოპერაციის სისტემიდან 31,7 მილიონი მანეთისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემიდან — 40,7 მილიონი მანეთის ოდენობით.

ადგილობრივი ბიუჯეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების ხაზით 1959 წელს, წინა წელთან შედარებით, სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე გამოყოფილი სახსრების ოდენობა გაზრდილია 141,6 მილიონი მანეთით და შეადგენს 573,4 მილიონ მანეთს.

საბიუჯეტო ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენახვასა და გაფართოებაზე შეადგენს 1.536,6 მილიონ მანეთს.

1959 წლის ადგილობრივ ბიუჯეტებში, წინა წლებისაგან განსხვავებით, შეტანილი არ არის საკოლმეურნეო ბაზრებზე მომსახურების საფასური. ამ გადასახდელის თანხა, რაც 1959 წელს 12 მილიონამდე მანეთს შეადგენს, მთლიანად გამოყენებული იქნება საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისათვის. ამ ღონისძიებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისა და ბაზრებზე მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ საბიუჯეტო დისციპლინის დაცვის ზოგიერთ საკითხზე. აუცილებელია ზუსტად განვახორციელოთ მთავრობის დადგენილება ბიუჯეტის შემოსავლების გადაჭარბებით მიღებული სახსრების ხარჯვის საქმეში. არ შეიძლება დაშვებულ იქნას ისეთი ფაქტი, რასაც ადგილი ჰქონდა აბაშის რაიონში, სადაც რაიონის ცენტრის კეთილმოწყობასა და მშენებლობაზე ბიუჯეტის ზევით დახარჯეს თანხები, მაშინ როცა სინამდვილეში ბიუჯეტის შემოსავლის გადაჭარბებას ადგილი არ ჰქონია; არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ცალკეულ რაიონებში ჭარბი შემოსავლიდან მიღებულ სახსრებს იყენებენ მმართველობის ხარჯების გასაწევად. არის ფაქტები, რომ კაპიტალური რემონტის სახსრებს მშენებლობაზე იყენებენ.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლისა და გასავლის ზრდა სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტებში სახსრების სრულად შემოსვლა და ამ სახსრების სწორად — მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ხარჯვა. ამასთან უნდა გაძლიერდეს მუშაობა ადგილობრივი ბიუჯეტების დამატებითი შემოსავლის გამოსავლინებლად.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი 1959 წლისათვის დაწესებული ბიუჯეტების წარმატებით შესასრულებლად, მტკიცედ დაიცვან საფინანსო, საბიუჯეტო და საშტატო დისციპლინა.

* * *

საფინანსო დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საუწყებო კონტროლისა და საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვის სწორად დაყენებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გასული წლის ოქტომბერში სპეციალურად განიხილა საკითხი საუწყებო კონტროლის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ სარევიზიო სამუშაოთა გეგმები არ სრულდება და რომ ხშირად დოკუმენტალური რევიზიების მაგივრად ეწყობა ზერელე შემოწმებანი; სუსტია კონტროლი რევიზიის შედეგად მიცემულ წინადადებათა შესრულებისადმი.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროში არ არის საკონტროლო-სარევიზიო აპარატი, იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს რევიზიების ჩატარებას ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებსა და საწარმოებში.

მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საბუღალტრო აღრიცხვა - ანგარიშგება.

არის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დაბალხარისხოვნად ჩატარების ფაქტები.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები საუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერებისა და საწარმოებსა და ორგანიზაციებში საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის.

იმ დიდი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დასმულია განსაკუთრებით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის შედეგად, აუცილებელია უახლოეს დროში ეკონომიური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში, სამინისტროებსა და უწყებებში, აგრეთვე ადგილებზე უკეთ უნდა სწავლობდნენ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ეკონომიკასა და ფინანსებს და დროულად ახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ მეურნეობაში დაშვებული არ იქნას დანაკარგები და ზარალი და რომ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულებას, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად წინ უსწრებდეს ხელფასის ზრდას და ამის შედეგად მიღწეულ იქნას სოციალისტური დაგროვების გადიდება და ბიუჯეტის შემოსავლის ახალი რეზერვების გამოვლინება, რაც მიმართული იქნება რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ახალ დამატებით საჭიროებათა დასაფინანსებლად.

1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემოაქვს 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშიდან ჩანს, რომ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი შესრულებულია 5.000,3 მილიონი მანეთის, ანუ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 101,4 პროცენტის ოდენობით.

ხარჯები 1957 წელს გაწეულია 4.958,3 მილიონი მანეთის, ანუ დაზუსტებული გეგმის 100,7 პროცენტის ოდენობით.

წინასწარი მონაცემების მიხედვით შესრულებულია აგრეთვე მთლიანად საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას. **(ტაში).**

## საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ვ. ჭირაქაძის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის სახელმწიფო გეგმა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილა რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმა, საბიუჯეტო კომისია თვლის, რომ გეგმა შედგენილია სწორად და 1959 წლის დავალებანი განსაზღვრულია მომავალ შვიდწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესაბამისად.

ამასთანავე საბიუჯეტო კომისია ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების გეგმების განხილვის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა 1959 წლისათვის გადიდებულ იქნას სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება დაახლოებით 34 მილიონი მანეთით.

სახელდობრ, სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ხაზით შესაძლოა დამატებით იქნას გამოშვებული: ბამბის ქსოვილები 500 ათასი მეტრი, ლითონის საწოლები — 1000 ცალი; ავეჯი — ერთი მილიონი მანეთისა, საშენი აგური 3 მილიონი ცალი; საკონდიტრო ნაწარმი — 100 ტონა; შიფერი 500 ათასი პირობითი ფილა და ყურძნის ღვინო 50 ათასი დეკალიტრი.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებში არის შესაძლებლობა გადიდდეს: წარმოება აგურისა 5 მილიონი ცალით; კონსერვის პროდუქციისა — ერთი მილიონი ქილით; ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 300 ათასი ცალით.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1959 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში მოცემული წინადადებანი დამატებითი პროდუქციის გამოშვების შესახებ.

უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილია აგრეთვე საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტმა 1957 წელს უზრუნველყო სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთლიანი დაფინანსება და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავალში 5.000.327 ათასი მანეთის, ხოლო ხარჯებში — 4.958.282 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 42.047 ათასი მანეთის გადამეტებით.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია სესიის განსახილველად შემოსავალსა და გასავალში 5.768.340 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 1958 წლის ბიუჯეტის შესრულებას წინასწარი მონაცემებით 7,5 პროცენტით აღემატება, ხოლო 1957 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით გაზრდილია ორ მილიარდ მანეთზე მეტით.

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა პირდაპირი შედეგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარებისა, — უკანასკნელ ხანებში გატარებული უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისაკენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 2.529.864 ათასი მანეთი, ხოლო, გარდა ამისა, მოგების, ამორტიზაციის და სხვა საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 2.054.207 ათასი მანეთი. ამრიგად, სულ სახალხო მეურნეობას მოხმარდება 4.584.071 ათასი მანეთი, აქედან მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებს — 2.392 მილიონი მანეთი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებანი და დასახა ახალი უდიდესი ამოცანები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სათანადო სახსრები დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში.

ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე 1959 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია 2.904.174 ათასი მანეთის ოდენობით ანუ გასულ წელთან შედარებით ამ დანიშნულებით გათვალისწინებულია ასიგნებათა ზრდა 148 მილიონი მანეთით.

ეს სახსრები მიმართული იქნება საერთო - საგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, საავადმყოფოების და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობასა და გაფართოებაზე, აგრეთვე მშრომელთათვის საპენსიო თანხების გასაცემად.

განიხილა რა შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშება და დასაბუთება ბიუჯეტის ყველა მუხლის მიხედვით, საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს გადიდდეს საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 8 მილიონი მანეთით: მათ შორის მოგების ანარიცხები — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურეულ პროდუქტთა მთავარი სამმართველოს ხაზით — 3 მილიონი მანეთით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 2 მილიონი მანეთით; ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციების — 2 მილიონი მანეთით და სხვა გამოსაღებთა და არასაგადასახადო შემოსავლიდან — ერთი მილიონი მანეთით.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საბიუჯეტო კომისიას წარმოუდგინეს შუამდგომლობანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ღონისძიებათათვის დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებ.

განიხილა რა აღნიშნული შუამდგომლობანი, საბიუჯეტო კომისიას უმაღლესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება დამატებით გამოვლინებული შემოსავლის ანგარიშზე გადიდდეს ბიუჯეტის ხარჯები 8 მილიონი მანეთით და ეს თანხა მოხმარდეს შემდეგ ღონისძიებებს:

განათლებისა და კულტურის დაწესებულებათათვის ინვენტარის და მოწყობილობის შეძენას — 880 ათასი მანეთი; ამ დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტს — 1.215 ათასი მანეთი; ჯანმრთელობის დაცვის და საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტს — 865 ათასი მანეთი, კომუნალური და საბინაო მეურნეობის ღონისძიებებს — 2.690 ათასი მანეთი; ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობას — 1.350 ათასი მანეთი; სასპორტო ნაგებობათა რემონტსა და სასპორტო ინვენტარის შეძენას — 800 ათასი მანეთი; კულტურის სამინისტროს დაწესებულებათა ხარჯებს — 200 ათასი მანეთი.

არის წინადადება დამატებით გამოყოფილი სახსრებიდან ცალკეული ადგილობრივი ბიუჯეტებით წარიმართოს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტით | | | 700 | ათასი მან. |
| აჭარის ასსრ ბიუჯეტით | | | 650 | ათასი მან. |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტით | | | 600 | ათასი მან. |
| ქ. თბილისის ბიუჯეტით | | | 2.000 | ათასი მან. |
| „ ქუთაისის | | „ | 200 | ათასი მან. |
| „ ფოთის | | „ | 100 | ათასი მან. |
| „ ჭიათურის | | „ | 100 | ათასი მან. |
| „ რუსთავის | | „ | 200 | ათასი მან. |
| „ გორის | | „ | 250 | ათასი მან. |
| ადიგენის | რაიონ. | ბიუჯ. | 150 | ათასი მან. |
| ასპინძის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ახალქალაქის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ახალციხის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ბოგდანოვკის | „ | „ | 70 | ათასი მან. |
| ბორჯომის | „ | „ | 140 | ათასი მან. |
| გეგეჭკორის | „ | „ | 90 | ათასი მან. |
| გორის | „ | „ | 80 | ათასი მან. |
| დმანისის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| დუშეთის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ყაზბეგის | „ | „ | 50 | ათასი მან. |
| კასპის | „ | „ | 70 | ათასი მან. |
| ყვარლის | „ | „ | 90 | ათასი მან. |
| ლენტეხის | | „ | 70 | ათასი მან. |
| მარნეულის | „ | „ | 50 | ათასი მან. |
| მესტიის | „ | „ | 50 | ათასი მან. |
| ონის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ორჯონიკიძის | „ | „ | 80 | ათასი მან. |
| საგარეჯოს | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| სამტრედიის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| საჩხერის | „ | „ | 80 | ათასი მან. |
| სიღნაღის | „ | „ | 50 | ათასი მან. |
| თელავის | „ | „ | 150 | ათასი მან. |
| თეთრი წყაროს | „ | „ | 200 | ათასი მან. |
| თიანეთის | „ | „ | 50 | ათასი მან. |
| წალენჯიხის | „ | „ | 80 | ათასი მან. |
| წულუკიძის | „ | „ | 100 | ათასი მან. |
| ჩოხატაურის | „ | „ | 100 | ათასი მან. |

ამრიგად, საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს აღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით საქართველოს სსრ 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცდეს შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 5.776.340 ათასი მანეთის ოდენობით.

ამხანაგო დეპუტატებო! რესპუბლიკის 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება მოითხოვს უდიდესი სახსრების დაგროვებას და მათ ხარჯვას განსაკუთრებული ეკონომიური ეფექტურობით.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავლის ხვედრითი წონა ბიუჯეტში მეტად დიდია. ამის მიხედვით საჭიროა მეურნეობის მართვის სრულყოფისა და საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესების გზით 1959 წელს მიღწეულ იქნას დაწესებული გეგმების შესრულება არა მარტო მთლიანად სამინისტროთა და უწყებათა ხაზით, არამედ აგრეთვე ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ.

1958 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები ადასტურებს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ წარმოშვა რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი სწრაფი განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი.

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა უდიდესმა ნაწილმა ვადაზე ადრე შეასრულა წლიური გეგმები. გაუმჯობესდა საწარმოო სიმძლავრეთა და მოწყობილობის გამოყენება, უფრო ეკონომიურად წარმოებს მასალებისა და ნედლეულის ხარჯვა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ყოველივე ამის შედეგად, წინასწარი მონაცემებით, საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

ამასთანავე საბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ დიდძალი გამოუყენებელი რეზერვებია და საერთო დადებით შედეგებს უკან იმალება მთელი რიგი სამმართველოების, ტრესტებისა და საწარმოების სრულიად არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა.

1958 წლის 9 თვეში საწარმოო გეგმები ვერ შეასრულა სახალხო მეურნეობის საბჭოს 83 საწარმომ, ხოლო ქალაქებისა და რაიონების 53 სამრეწველო კომბინატიდან 38-მა.

სერიოზულ ნაკლოვანებათა შორის, რომლებიც აქ უკვე აღინიშნა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულებისათვის, უგულებელყოფენ სახალხო მეურნეობისა და მომხმარებელთა ინტერესებს, საქონელს უშვებენ ისეთს, რომლის გამოყენება და რეალიზაცია შეუძლებელი ხდება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის სამმართველოს ქარხანა „ელექტროგამშვებმა“ გასული წლის პირველ ნახევარში ხელშეკრულების უქონლად და გეგმის ზევით გამოუშვა 678 ათასი მანეთის ღირებულების 9 ათასი ცალი ელექტროგამშვები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე გაუსაღებელია.

1958 წლის 1 ოქტომბრისათვის გორის ბამბეულის კომბინატის საწყობში დაგროვდა 12 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების შტაპელის ქსოვილი, რომელიც დაბალი ხარისხის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმოძრაოდ იყო. ასევე საკონსერვო მრეწველობას აქვს რამდენიმე მილიონი მანეთის ჩაწოლილი პროდუქცია. საქონლის დიდი ზენორმატიული ნაშთებია სახალხო მეურნეობის საბჭოს სხვა სამმართველოთა საწარმოებშიც.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაშვებულია დიდი უნაყოფო ხარჯები და დანაკარგები. მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში წუნით გამოწვეული დანაკარგები გასული წლის 9 თვეში 33,7 მილიონ მანეთს აღწევდა.

მთელ რიგ საწარმოებში ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების დავალებათა შეუსრულებლობას და ხელფასის ფონდის მნიშვნელოვან გადახარჯვას.

მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გადიდებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დიდი გამოუყენებელი რეზერვებია ადგილობრივი საბჭოების საწარმოებსა და სარეწაო კოოპერაციის არტელებში.

საჭიროა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება ამ საკითხებისადმი, მეტი დახმარება გაუწიონ საწარმოებს ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებისა და ადგილობრივი ნედლეული რესურსების ფართოდ გამოყენების საქმეში.

1958 წელს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა. აშენდა მრავალი საწარმო, საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო და სხვა დაწესებულება. მაგრამ ნაკლოვანებები მშენებლობის დარგში მეტად ნელა სწორდება. კვლავ ხდება კაპიტალურ დაბანდებათა დაქუცმაცება, სამშენებლო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან მექანიზმებითა და მასალით, მშენებლობაში დაბალია შრომის ნაყოფიერება, რის შედეგადაც დაგვიანებით ხდება მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებები იყო გასულ წელს საბინაო მშენებლობაში.

უმაღლესი საბჭოს წინა სესიებზე აღნიშნული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დარგში. 1958 წელს საგრძნობლად გადიდდა მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა, მაგრამ სახელმწიფო ვაჭრობა და სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალი ორგანიზაცია კვლავ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ჯერ კიდევ დაბალია მოსახლეობის მომსახურების კულტურა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეს. ამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა სათანადოდ დაცვა.

საჭიროა ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა მიიღონ ჯეროვანი ზომები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, ვაჭრობის კულტურის ასამაღლებლად.

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის. ეს ხარჯები 1958 წელს 26 მილიონ 400 ათასი მანეთით შემცირდა, ხოლო წელს განზრახულია სამმართველო ხარჯების შემცირება კიდევ 30 მილიონი მანეთით.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მოიპოვება პარალელურად მოქმედი ორგანიზაციები. ბევრია სამმართველო აპარატის შენახვაზე ხარჯების უკანონოდ გაწევის ფაქტები.

აუცილებელია კვლავ მტკიცედ განხორციელდეს ღონისძიებანი სამმართველო აპარატის შემდგომი სრულყოფისა და გამარტივებისათვის.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესონ ეკონომიური მუშაობა და გააძლიერონ კონტროლი საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისადმი, საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინის დაცვისა და სახელმწიფო სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებისადმი.

ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვი არ არის, საქართველოს მშრომელნი წარმატებით შეასრულებენ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს, რითაც სათანადო წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. **(ტაში).**

# ყოველი მხრიდან

საირუს იტონი აღფრთოვანებულია რუსი ადამიანების მეგობრული გრძნობებით

ჯორჯ ბილენკინი ნილაბს ხდის ჩერჩილის ვერაგობას

ჩეხი ხალხი მოუსმენს ქართველ მომღერლებს

## ა. ი. მიქოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**კლივლენდი,** 8 იანვარი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობს, კლივლენდს ჩამოვიდა. აეროდრომზე ა. ი. მიქოიანს შეხვდნენ ცნობილი ამერიკელი მრეწველი საირუს იტონი მეუღლითურთ, აგრეთვე ამერიკისა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი.

საირუს იტონი მიესალმა რა ა. ი. მიქოიანს, უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენთან ოჰაიოს შტატში. თქვენი ჩამოსვლა დიდ სიამოვნებას განიჭებს. თქვენს დიად ქვეყანაში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს აღტაცებაში მომიყვანა მეგობრული გრძნობების გამოვლინებამ რუსი ადამიანების, როგორც მთავრობის ხელმძღვანელების, ისე პატარა მოსწავლეების მხრივ. ჩემი თანამემამულეებიც გულითადი ხალხია და მე ვიცი, რომ მათ ძალიან სურთ, რომ თქვენ დაათვალიეროთ ჩვენი დიადი ქვეყანა".

უპასუხა რა საირუს იტონის მისალმებაზე, ა. ი. მიქოიანმა თქვა: „ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გულითადი სალამი გადმოგცეთ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისაგან. მას კარგად ახსოვს თქვენთან შეხვედრა მოსკოვში და მთხოვა მისი სახელით ჩამოგართვათ ხელი.

თქვენი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში კერძო ხასიათისა იყო, მაგრამ დიდი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთ გაგების მიღწევაში. თქვენ უწინაზრახვო შეხედულებებით ჩამოხვედით ჩვენს ქვეყანაში და მამაცურად მოიქეცით, როცა დაბრუნების შემდეგ თქვით სიმართლე, რაც ნახეთ. თქვენი განცხადებანი იმას მოწმობენ, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის ადამიანებს შეიძლება კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეთ და მეგობრები იყვნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების საფუძველზე. თქვენ სხვა იდეოლოგიური შეხედულებები გაქვთ, ჩვენ — სხვა. მაგრამ ჩვენ გვაერთიანებს მშვიდობით ცხოვრების სურვილი. მაშ ვიყოთ მეგობრები მშვიდობის უზრუნველსაყოფად".

„ვსარგებლობ სასიამოვნო შესაძლებლობით, — თქვა დასასრულ ა. ი. მიქოიანმა, — რათა ყოველი სიკეთე ვუსურვო კლივლენდის მოსახლეობას, სადაც პირველად ამ ოცდაორი წლის წინათ ვიყავი".

დღისით ა. ი. მიქოიანის პატივსაცემად „უნიონ კლაბში" გაიმართა საუზმე, სადაც წარმოდგენილი იყო ოჰაიოს შტატის მთელი საქმიანი სამყარო — უდიდესი სამრეწველო, სავაჭრო და სატრანსპორტო კომპანიების პრეზიდენტები, კომპანიებისა, რომელთა ცენტრი კლივლენდშია, ბანკების დირექტორები, გაზეთების გამომცემლები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საუზმეზე გამოვიდა საირუს იტონი, რომელმაც მიულოცა საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს, საბჭოთა მეცნიერების ახალი უდიდესი მიღწევა. მთელი მსოფლიო, თქვა მან, აღტაცებულია ახალი პლანეტის გაშვებით, რომელიც ახლა გადის ორბიტაზე მზის გარშემო.

საირუს იტონმა რწმენა გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, რომელნიც „უნიონ კლაბში" შეიკრიბნენ, ისევე როგორც თვითონ მას „შეგნებული აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთგაგების მიღწევას ძლიერ საბჭოთა კავშირთან, რომლის წარმატებანი მეცნიერებასა და მრეწველობაში ესოდენ თვალსაჩინოა". ამ სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

საუზმეზე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უძველესი პროფკავშირის — ორთქლმავლის მექანიკოსთა პროფკავშირის სახელით გამოვიდა გ. ბრაუნი, რომელიც მიესალმა საბჭოთა სტუმრებს.

ამერიკის ქირურგთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ჩარლზ ჰიგინსმა დიდად შეაფასა საბჭოთა მედიცინის განვითარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო გაცვლას ორივე ქვეყანას შორის. მან თქვა, რომ ასეთი გაცვლა მრეწველობის დარგში და სხვა დარგებში იქნებოდა „დიდი ნაბიჯი მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშვიდობისა და აყვავების გზაზე".

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა. მან განაცხადა: „თუ სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალული იყო დღევანდელი გამოსვლები, გახდება მთელი ჩვენი ურთიერთობის საფუძველი, ეს გადაშლის ახალ ფურცელს ისტორიაში".

ა. ი. მიქოიანმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის დროს ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა გვესწავლა ამერიკელებისაგან საქმიანობა და რომ საბჭოთა ადამიანები ყოველთვის აღტაცებული იყვნენ ამერიკელი ხალხის ამ თვისებით.

ახლა, თქვა მან, ჩვენ დავისახეთ ამოცანა დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ. ა. ი. მიქოიანმა გაიხსენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამონათქვამები ამ საკითხზე.

როცა სამშობლოში დავბრუნდები, განაგრძო ა. ი. მიქოიანმა, სიამოვნებით ვილაპარაკებ იმ გრძნობებზე, რაც აქ გამოთქვეს ბ-ნმა იტონმა და სხვა ორატორებმა, რომლებმაც თქვეს, რომ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს გრძნობები მოწმობენ იმას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა ჩვენს ქვეყნებს შორის შესაძლებელია.

ა. ი. მიქოიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში მნიშვნელობა აქვს ადამიანის საქმიანობის ყველა მხარეს, ყოველივე იმას, რაც გვეხმარება შევქმნათ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ხელშემწყობი ატმოსფერო და, რასაკვირველია, თქვა მან, ამ კეთილშობილურ საქმეში უკანასკნელი როლის შესრულება როდი შეუძლია ვაჭრობას. ვაჭრობას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას, მშვიდობა კი ვაჭრობის აუცილებელი პირობაა. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენ თითქმის არ ვვაჭრობთ ერთმანეთს შორის, თუმცა ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვიყიდოთ ერთიმეორისაგან. ჩვენ გვაქვს ასეულ მილიონობით დოლარის ისეთი საქონელი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

შეეხო რა მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან სავაჭრო გაცვლის განვითარებას, ა. ი. მიქოიანმა დაასახელა ხელოვნური ბარიერები. დამაჯერებელი მაგალითებით ცხადყო მან, რომ მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციები მიმართავენ დემპინგს საგარეო ბაზრებზე, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ჩვენ გვინდა ვაჭრობა ურთიერთსასარგებლო კომერციულ საფუძველზე, განაცხადა მან.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ მშვიდობის განმტკიცება საერთო ამოცანაა, და წარმოთქვა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის სადღეგრძელო.

„იუნიონ კლაბში" საუზმის შემდეგ ა. ი. მიქოიანმა დაათვალიერა „ლინკოლნ ელექტრიკ კომპანის" ელექტრომოწყობილობის ქარხანა. ქარხნის დათვალიერების დროს იგი ესაუბრა მუშებს, დაინტერესდა მათი ცხოვრებისა და შრომის პირობებით.

დღის მეორე ნახევარი ა. ი. მიქოიანმა გაატარა საირუს იტონის ფერმაში კლივლენდის მახლობლად. აქ ბევრი ჟურნალისტისა და ფოტორეპორტიორის დასწრებით ა. ი. მიქოიანმა საბჭოთა მთავრობის სახელით საირუს იტონს საჩუქრად მიართვა ორიოლური ჯიშის სამი ცხენი და მათი აღკაზმულობა.

საღამო ა. ი. მიქოიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გაატარეს სტუმრად საირუს იტონთან.

**ლ. ველიჩანსკი,**
**ვ. პარამონოვი.**

### ქართველი მსახიობები პრაღაში ჩავიდნენ

**პრაღა,** 9 იანვარი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. მ. გოცირიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ვ. ამირანაშვილი და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზ. ი. ანჯაფარიძე.

ქართველი მომღერლები 12-31 იანვარს გამოვლენ ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქის ოპერის თეატრებში.

### ჩერჩილის ვერაგობის ახალი დადასტურება

**ლონდონი,** 7 იანვარი. (საქდესი). ლორდი კემსლის ჯგუფის გაზეთების ყოფილმა დიპლომატიურმა მიმომხილველმა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის დიპლომატიის ისტორიის მთელი რიგი წიგნების ავტორმა ჯორჯ ბილენკინმა 31 დეკემბერს დუბლინის გაზეთ „აირიშ ინდეპენდენტში" გამოაქვეყნა დიდი სტატია, რომელშიც აცხადებს, რომ ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულის მხოლოდ ოცი დღის შემდეგ უინსტონ ჩერჩილი, რომელიც მაშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრი იყო, მოუწოდებდა დასავლეთის მოკავშირეებს დაეწყოთ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბილენკინის სიტყვით, ჩერჩილმა ეს წინადადება გამოთქვა პრეზიდენტ ტრუმენის სპეციალურ წარმომადგენელთან ჯოზეფ დევისთან საუბრის დროს 1945 წლის 26 მაისს თავის ქალაქგარეთა რეზიდენციაში ჩეკერსში.

ავტორი ამტკიცებს, რომ მან ამ საუბრის შესახებ შეიტყო თვითონ დევისისაგან, რომელმაც სთხოვა ამ საუბრის შინაარსი საიდუმლოდ შეენახა საუბრის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის სიკვდილამდე (დევისი მოკვდა 1958 წლის მაისში. — **რედ. შენიშვნა**). როგორც ბილენკინი აღნიშნავს, ამ ინფორმაციის სისწორეს ადასტურებენ მემუარები ფელდმარშალ მონტგომერისა, რომელიც წერს, რომ უთანხმოება ჰქონდა ჩერჩილთან დასავლეთის მოკავშირეთა ჯარების აღმოსავლეთიდან იმ ზონებში გადაყვანის საკითხში, რომლებიც ამ ჯარებისათვის განკუთვნილი იყო სამოკავშირეო შეთანხმებით. მონტგომერის (მისი მემუარების მიხედვით) მიაჩნდა, რომ „ინგლისის ყოველი მთავრობა, რომელიც მოისურვებდა რუსებთან ომს 1945 წელს, წააწყდებოდა დიდ უსიამოვნებას ინგლისში" და ამიტომ მტკიცედ მოითხოვდა, რომ დასავლეთის ჯარები დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ სათანადო ზონებში. მაგრამ „პრემიერ-მინისტრი ამას არ ეთანხმებოდა..."

### დე გოლი — საფრანგეთის პრეზიდენტი

**პარიზი,** 8 იანვარი. (საქდესი). დე გოლი ოფიციალურად გამოცხადდა საფრანგეთის რესპუბლიკისა და საფრანგეთის გაერთიანების პრეზიდენტად.

### მიშელ დებრე დაინიშნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად

**პარიზი,** 8 იანვარი. (საქდესი). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დღეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა მიშელ დებრე, მემარჯვენე პარტიის — „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი.

### შეიქმნა ახალი მთავრობა საფრანგეთში

**პარიზი,** 9 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ შექმნა საფრანგეთის ახალი მთავრობა, რომელიც წარედგინება პარლამენტს 10 იანვარს.

## გაიხსნა XXVI საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი



[illegible]

### გუშინ რუსთაველის თეატრში

[illegible] იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში ოქროსფრად მოსჩანს წარწერა — XXVI საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან სტუმრები — სსრ კავშირის სახელმოხვეჭილი გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სპორტსმენები.

სტუმრებს მიესალმა და საკავშირო ჩემპიონატის ფინალი გახსნილად გამოაცხადა პირველობის გათამაშების დასკვნითი შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ.

ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის სახელით სტუმრებს მიესალმა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. გოგლიძე, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ინტელიგენციის სახელით — პროფესორი დ. კვესელავა, თბილისის ახალგაზრდო- [illegible] საჭადრაკო განყოფილების უფროსი ლ. აბრამოვი.

დამსწრეთა საერთო მოწონება დაიმსახურა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ სპორტსმენთა, მოჭადრაკეთა გამოსვლამ, რომლებმაც სტუმრებს თაიგულები, სამახსოვრო სამკერდე ნიშნები და სპეციალური ქუდები უძღვნეს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი ა. ფალავანდიშვილი მოკლედ აცხადებს პირველობის გათამაშების დებულების მთავარ პუნქტებს, ამასთანავე დამსწრეთ აცნობს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე გაზეთების „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „სოვეტაკან ვრასტანის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდოი სტალინეცის", „ლელოს", „თბილისის" და „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციებმა, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ორგბიურომ, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ დააწესეს სპეციალური პრიზები.

მოეწყო წილისყრა. ჩემპიონატის მონაწილეებმა მიიღეს შემდეგი ნომერაცია: 1. გროსმაისტერი ე. გელერი (ოდესა), 2. გროსმაისტერი პ. კერესი (ტალინი), 3. ოსტატი ა. ლუტიკოვი [illegible] ბრონშტეინი (მოსკოვი), 10. საერთაშორისო ოსტატი ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), 11. ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), 12. საერთაშორისო ოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), 13. გროსმაისტერი ბ. სპასკი (ლენინგრადი), 14. ოსტატი ა. ნიკიტინი (მოსკოვი), 15. გროსმაისტერი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 16. საერთაშორისო ოსტატი რ. ხოლმოვი (ვილნიუსი), 17. გროსმაისტერი მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), 18. ოსტატი ი. იუხტმანი (მოსკოვი), 19. ოსტატი ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), 20. ოსტატი ნ. კროგიუსი (ნოვოსიბირსკი).

ამრიგად, დღეს პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ე. გელერი-ნ. კროგიუსი, პ. კერესი-ლ. პოლუგაევსკი, ა. ლუტიკოვი-ი. იუხტმანი, მ. ტალი-მ. ტაიმანოვი, ტ. პეტროსიანი-რ. ხოლმოვი, რ. ნეჟმეტდინოვი-ვ. კორჩნოი, ი. ავერბახი-ა. ნიკიტინი, ე. გუფელდი-ბ. სპასკი, დ. ბრონშტეინი-ს. ფურმანი, ე. ვასიუკოვი-ბ. გურგენიძე.

XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის გახსნის საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

### საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში

ქართველ მწერალთა შეხვედრა ალექსი სურკოვთან

[illegible] ვდნენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პირველ მდივანს, პოეტ ალექსეი სურკოვს, რომელიც სტუმრად იმყოფება საქართველოში. შეხვედრაზე ა. სურკოვმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა.

ა. სურკოვმა ხაზგასმით აღნიშნა — — მწერლებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ თანამედროვეობის თემებს და პრობლემებს, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ აუცილებელია ბრძოლა ჩვენი ლიტერატურის იდეურობისა და მაღალი მხატვრული ხარისხისათვის. ზოგიერთი მწერალი კი კმაყოფილდება თემის აქტუალობით და ზერელედ ეკიდება ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას. რამდენადაც აქტუალურია ნაწარმოების თემა, იმდენად მხატვრულად სრულყოფილი უნდა იყოს იგი. შემდეგ ა. სურკოვი შეეხო ხალხის ცხოვრებასთან მწერლობის კავშირის განმტკიცების საკითხებს. დასასრულ ილაპარაკა ლიტერატურის ახალგაზრდა კადრების დაწინაურებისა და მათდამი მეტი გულისხმიერების შესახებ.

9 იანვარს საქართველოს მწერალთა კლუბის დარბაზში მოეწყო კამათი ალექსეი სურკოვის მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ლ. კალანდაძემ, გ. მარგველაშვილმა, დ. შენგელაიამ, კ. ჰიჰინაძემ, რ. ჯაფარიძემ, ბ. ჟღენტმა, კ. ბობოხიძემ და ე. ფეიგინმა.

დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ალექსეი სურკოვმა.

### „საქართველოს ეკონომისტი" № 12

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: მოწინავე — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა; გ. ქადაგიძე — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღმავლობის გრანდიოზული პერსპექტივები; ნ. ხურციძე — შრომის ნაყოფიერების შესახებ სოციალიზმის დროს; ი. კვირიკაძე — საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების შესახებ; ს. ხოშტარია — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა 1959-1965 წლებში; ნ. პაიჭაძე — კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ; [illegible]

## საყოველთაო-სახალხო საქმე




[illegible]

1.

[illegible] ლებას მუშახელზე, გამორიცხავს უმუშევრობის არსებობას, განაპირობებს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის რაციონალური, გეგმაზომიერი გამოყენების შესაძლებლობას.

მოსახლეობის სოციალისტური კანონის უპირატესობათა რეალური გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხვი 1926 წლის აღწერიდან 1939 წლის აღწერამდე გადიდდა 23,6 მილიონით, რაც შეადგენს ყოველწლიურ საშუალო ზრდას 1,23 პროცენტით. საქართველოს მოსახლეობის რიცხვი 1926 წლიდან 1939 წლამდე გაიზარდა 2.667 ათასიდან 3.542 ათასამდე, ე. ი. 32,8 პროცენტით. ამავე პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის საშუალო წლიური მატება შეადგენდა 0,67 პროცენტს, ინგლისისა — 0,36 პროცენტს, გერმანიისა — 0,62 პროცენტს, საფრანგეთისა — 0,08 პროცენტს.

აღნიშნული 13 წლის მანძილზე სსრ კავშირის ქალაქის მოსახლეობის რიცხვი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობის ზრდის ასეთი ტემპი ისტორიაში უმაგალითოა. ქალაქის მოსახლეობის რიცხვი ორჯერ რომ გაედიდებინათ, ამერიკის შეერთებულ შტატებს დასჭირდათ 40 წელი, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთს — 60-70 წელი.

ეჭვი არ არის, რომ მოსახლეობის მომავალი აღწერა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ნათელყოფს სოციალისტური სისტემის უპირატესობებს დრომოჭმულ კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით მოსახლეობის ზრდის ტემპების თვალსაზრისითაც.

ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტა- [illegible] ბილთა რიცხვის ზრდის დონით სსრ კავშირი სჭარბობს ამ ქვეყნებს. უკვე თითქმის ათი წელია, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი წლიურად 3 მილიონით და მეტით იზრდება. საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1955-1956 წლებში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით გადიდდა 32 წლიდან 67 წლამდე, ე. ი. ერთიორად და მეტად.

მოსახლეობის მომავალი აღწერის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ისიც არის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ლონისძიებანი ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებს მოსახლეობის რიცხვის, სოციალური და ეროვნული შედგენილობის, პროფესიისა და საქმიანობის მიხედვით განაწილების შესახებ.

მაგალითად, სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდწლიანი გეგმის დავალებათა დანაწილება წლების, დარგების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით გაითვალისწინებს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, პროფესიებისა და საქმიანობის მონაცემებს.

თუ არ გვეცოდინება ბავშვთა რაოდენობა და ასაკობრივი შემადგენლობა, ზუსტად ვერ დავგეგმავთ საბავშვო დაწესებულებებისა და სკოლების ქსელს, აღმზრდელთა და მასწავლებელთა მომზადების ლონისძიებებს; თუ არ გვექნება მოსახლეობის განათლების დონისა და საქმიანობის ზუსტი მონაცემები, სწო- [illegible] ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის მკვეთრი ამაღლების ლონისძიებანი.

2.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის ჩატარება გრანდიოზული სტატისტიკური სამუშაოა, რომელიც მოითხოვს ძალთა სწორ განლაგებას, სერიოზულად მოფიქრებულ მოსამზადებელ ლონისძიებათა დროულად და ხარისხიანად განხორციელებას. საკმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირში ამ საქმეში ჩაბმულ იქნება მარტო საალწერო კადრების სახით 600 ათასამდე კაცი, აქედან 500 ათასამდე აღმწერი, 100 ათასი ინსტრუქტორ-კონტროლიორი და საალწერო განყოფილების გამგე.

მოსახლეობის 1959 წლის საკავშირო აღწერისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში დროულად გაიშალა. მთელი მოსამზადებელი სამუშაოს ამოცანა ის არის, რომ ყველა მოქალაქემ დროულად გაიაროს აღწერა და სწორად უპასუხოს აღწერის ფურცელში დასმულ 15 კითხვაზე.

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დროულად დაამტკიცეს საალწერო კადრები 14.000-ზე მეტი კაცის რაოდენობით, აქედან — 11.000-ზე მეტი აღმწერი. აღწერაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი, ავტორიტეტიანი მუშაკები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივიდან, ინტელიგენცია, სტუდენტობა. აღწერის მუშაკთა ამ მრავალათასიანმა რაზმმა თავის დროზე მიიღო სათანადო ცოდნა და ინსტრუქტაჟი აღწერის ორგანიზაციისა და პროგრამის საკითხებზე. ახლა აღწერის კადრები მზად არიან შეუდგნენ თავიანთი რთული და საპატიო მოვალეობის შესრულებას. ამ დღე- [illegible] მერაციისათვის, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა სიების წინასწარი დაზუსტებისათვის.

აღწერის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნებიან აღწერის ორგანოები უზრუნველყოფილი საჭირო დოკუმენტების ბლანკებით, მასალების შენახვისა და მუშაობისათვის საჭირო შენობით, სატელეფონო კავშირით. რაიონული და საქალაქო სტატისტიკური ინსპექტორები, აგრეთვე საალწერო განყოფილებები ამ მხრივ შედარებით უზრუნველყოფილი არიან. აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელია ინსტრუქტორ-კონტროლიორებისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე აღწერის ორგანოების დროულად უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებებით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სტატისტიკის ორგანოები და აღწერის კადრები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაართმევენ თავს მათ წინაშე მდგომ რთულ ამოცანას, თუ ექნებათ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჯეროვანი ხელმძღვანელობა და დახმარება, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერა. აღწერამდე დარჩენილ პერიოდში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აღწერის ხელშემწყობი თვითეული კომისია, მისი თვითეული წევრი აქტიურად მონაწილეობდეს მოსამზადებელი მუშაობის ყველა სახის გულდასმით განხორციელებაში.

მოსახლეობის აღწერისათვის ჯეროვნად უნდა გავითვალისწინოთ რესპუბლიკის მაღალმთიან და ძნელად მისასვლელ რაიონებში ვადაზე ადრე ჩატარე- [illegible] და მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა როგორც სამუშაო, ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფართოდ იყენებენ პროპაგანდისა და აგიტაციის ნაცად ფორმებს: პერიოდულ პრესას, რადიოს, კინოქრონიკას, ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს, კითხვა-პასუხის, თემატურ საღამოებს, კედლის გაზეთებს, გამოფენებს, სტენდებს, ლოზუნგებს და პლაკატებს.

პროპაგანდისტთა და აგიტატორთა განკარგულებაშია პერიოდული პრესის მასალები, ქართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი ინსტრუქცია და მასობრივი ბროშურები.

ამას წინათ რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა შინაარსი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა მოსახლეობის 1959 წლის აღწერისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადადგეს ნაბიჯები ამ დადგენილების პრაქტიკულად განსახორციელებლად, აღწერისათვის მზადებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, აღწერის კადრები, ხელშემწყობი კომისიის წევრები, პროპაგანდისტები, აგიტატორები მოსახლეობის საკავშირო აღწერას განიხილავენ როგორც საყოველთაო-სახალხო საქმეს. მათ ღრმად აქვთ შეგნებული ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის მითითება: „აღწერის საქმე არ არის უბრალო საქმე, ის არის მთელი რესპუბლიკის, ყველა საბჭოთა დაწესებულების საქმე".

[illegible]

[illegible]